


# მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში

## მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი

mdac
mental disability
advocacy center

GE
georgia




I was under guardianship for twenty years. I wasn't allowed to use my own money, or decide where to live. I wasn't even allowed to work or vote. I wanted to make my own decisions.



MDAC advances human rights.

We respect the privacy of our clients,
so we have chosen models, not clients, to appear in these photographs.

ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრი

# მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში

მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი
2007

mdac
mental disability
advocacy center

Copyright © Mental Disability Advocacy Center, 2007
All rights reserved.

ISBN: 978-963-87607-7-7

This report is available in English and Georgian from MDAC's website: www.mdac.info.

Mental Disability Advocacy Center (MDAC)
Rákóczi út 27/B
1088 Budapest
Hungary
Telephone: +36 1 413 27 30
Fax: +36 1 413 27 39
Email: mdac@mdac.info
Website: www.mdac.info

The research and publication of this report was made possible through the generous financial contributions of

The Sigrid Rausing Trust
and
In-kind contributions
from the Council of Europe

The opinions expressed in this document are the opinions of the authors and may not reflect the opinions of the donors. Responsibility for the information contained therein lies solely with MDAC. The donors take no responsibility for the content and for any use that may be made of the information contained therein.

# Contents


აღმასრულებელი რეზიუმე ... 5

რეკომენდაციები ... 8

1. შესავალი ... 11

- 1.1 მეურვეობა ... 11
- 1.2 მეურვეობის გამოკვლევა ... 14
- 1.3 აღიარებები ... 15
- 1.4 მეთოდი ... 16
  - 1.4.1 პირველი ეტაპი: კანონმდებლობის მიმოხილვა ... 16
  - 1.4.2 მეორე ეტაპი: ცნობების შეგროვება სფეროდან ... 16
- 1.5 ინდიკატორები მეურვეობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეფასების ... 17

2. მეურვეობის კანონი და პოლიტიკა საქართველოში ... 19

- 2.1 შესავალი ... 19
- 2.2 საქართველოს დემოგრაფიული და სოციალური პეიზაჟი ... 20
- 2.3 საქართველოს საკანონმდებლო სისტემა ... 21
- 2.4 მეურვეობის კანონი საქართველოში ... 21
- 2.5 საქართველოს მეურვეობის პროცესი ... 23
- 2.6 საქართველოს კანონმდებლობის ადამიან უფლებების საფუძვლებზე შეფასება ... 26
  - 2.6.1 პრინციპები რომელიც აღინიშნება საკანონმდებლო ჩარჩოში (ინდიკატორი 1) ... 26
  - 2.6.2 პროცედურული უფლებები მეურვეობის პროცესის დროს (ინდოკატორები 2-7) ... 28
  - 2.6.3 მტკიცებულებების ხარისხი, რომელიც წარედგინება სასამართლოს ქმედუნარიანობის დადგენის საქმეების განხილვისას. (ინდიკატორები 8-12) ... 39
  - 2.6.4 მოწიფულის უფლებები მეურვეობის დადგენის შემდეგ (ინდიკატორი 13-17) ... 46
  - 2.6.5 მეურვის მოვალეობები იმის შემდეგ რაც მეურვეობა დადგინდა (ინდიკატორები 18-25) ... 56
  - 2.6.6 მეურვეობის აუცილებლობა და ალტერნატივები (ინდიკატორები 26-29) ... 67

დანართი ა: ტერმინების სიტყვარი ... 73

დანართი ბ: ინდიკატორების შემაჯამებელი ცხრილი ... 76

# აღმასრულებელი რეზიუმე

ეს ანგარიში, არის პირველი ამგვარი ნაშრომი, რომელიც იხედება, მეურვეუობასთან დაკავშირებული კანონების სიღრმეში. ანგარიში გვძლევს იმის გაგების საშუალებას თუ რა ზეგავლენა აქვს კანონმდებლობას მეურვეობის პროცესზე. მაგრამ მდაც-ს არ მიეცა შესაძლებლობა რომ შეესწავლა და გაეგო კანონების პრაქტიკული შესრულება. ამის მიზეზი არის ძალიან მარტივი: კონფიდენციალურობის საფუძველზე უარი იქნა ნათქვამი, არსებითი ინფორმაციის წყაროებზე. შედეგად ეს ანგარიში გვთავაზობს მხოლოდ გამჭრიახობას, მაგრამ ამავდროულად ეს არის მნიშვნელოვანი, სრული გაგება იმის თუ როგორ მუშაობს სამეურვეო პროცესი.

მიუხედევად იმისა რომ საქართველოს კანონდებლობა შიეცავს პოზიტიურ ელემენტებს როგორიცაა კანონი ქმედუუნარო პირების სოციალურ დაცვაზე,[1] რომელიც უზრუნველყოფს მეურვეობის ქვეშ მოთავსებულ პირებისთვის უფლებას იქნენ დასაქმებული ნებისმიერ იურიდიულ პირში და რომელიც კრძალავს დასაქმებაზე უარის თქმას შეზღუდული ქმედუნარიანობის საფუძველზე, ამავდროულად ფაქტია რომ ჯერაც ბევრია გასაკეთებელი ამ დარგში იმისათვის რომ კანონები საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს. ეს სტანდარტები და საქართველოს მიერ მათი საკანონმდებლო და პრაქტიკული დაცვა, არის არ ანგარიშის მთავარი ფოკუსი. საქართველოს მთავრობის, იურიდიული და მორალური იმპერატივები, რომ შეცვალოს ქვეყნის მეურვეობასთან დაკავშირებული კანონები, არის წარმოდგენილი ამ ანგარსში, ანგარიში არის განსაკუთრებულად დროული იმის გათვალისწინებით რომ ახლახან იქნა მიღებული გაეროს კონვენცია რომელიც შეეხება უუნარო ადამიანების უფლებებს[2] ეს კონვენცია მოითხოვს პარადიგმის გადაადგილებას უფრო ჰუმანურ მოდელზე რომელშიც მხარდაჭერა და დახმარება არის უზრუნველყოფილი, მაგრამ რომელშიც ამავდროულად იურიდიული უფლებები დარჩება ხელუხლებელი.

ანგარიში გვთავაზობს მეურვეობასთან დაკავშირებული საშინაო კანონმდებლობის ანალიზს, ეს კანონები იქნება განხილული ადამიანის უფლებიბისსტანდარტებისლინზებით.კანონკმდებლობაარარისერთიანი კოდიფიცირებული ფორმის სახით, იგი არის გაფანტული სხვადასხვა სტატუტებში და რეგულირებებში. ანგარიში იკვლევს, თუ რამდენად ადეკვატური დაცვის მექანიზმები არის მინიჭებული ამ კანონების მიერ,

1 თავი V, მუხლი 21.

2 კონვენცია ქმედუუნარო პირების უფლებებზე,მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 6 ეკემბერი 2006 დეკემბერი 2006, რეფ მ/61/611, 12 მ.

დაცვის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს ისეთი საკანონმდებლო სისტემა რომელიც მთლიანად პატივს სცემს საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებს.

ამ კვლევის შედეგები მიგვანიშნებს რომ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ძირითადათი ადამიანის უფლებიბს პატივისცემას, ეს პრინციპები იშვიათად არის ნახსენები, განსაკუთრებულად ხალხის მიმართ ვისაც გააჩნია ინტელექტუალური ან ფსიქო-სოციალური (ფსიქიკური ჯამრთელობა) უუნარობა. შემდგომ, საკანონმდებლო სისუსტეების სერიამ შედეგად მოიტანა ის რომ კანონებს გააჩნია ბევრი ნაკლი. ეს სისუსთეები არის ასახული თვით პროცესის პრაქტიკაში. მართლაც, ანგარიშის მთავარ შედეგებმა გამოააშკარავა რომ საქართველო თავს ვერართმევს, მის მოვალეობას რომ დაიცვას იმ ადამიანების უფლებები რომლების მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან, მიგვანიშნებ რომ სასწრაფოდ საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი რეფორმები. ამ დასკვნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არიან:

- როგორც შეფასდა, საქართველოში 23.000 მოწიფულს აქვს ჩამორთმეული ქმედუნარიანობა.

- ეს პირები არიან პლენარული (ყველაფრის მომცველი) მეურვეობის ქვეშ. ისინი ექვემდებარებიან, მათი ადამიანის უფლებების თვითნებურ და ავტომატიურ, ჩამორთმევას. ეს მოიცავს მათი საკუთრების, ოჯახური ცხოვრების, დაქორწინების, ხმის მიცემის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ჩამორთმევას. თუნდაც რომ არ ხდებოდეს გარკვეული უფლებების სპეციალურად ჩამორთმევა, პროცედურული უნარიანობის ნაკლებობა შედეგად იწვევს, უუნარობას რომ განხორციელდეს ეს უფლებები.

- მეურვეობა არის საქართველოში ერთადერთი პასუხი იმ პირებისთვის ვინც საჭიროებს დახმარებას რომ მიიღოს გადაწყვეტილებები. სხვა ალტერნატივები, ისეთი როგორიცაა მხარდაჭერილი ან დამხმარე გადაწყვეტილების გაკეთება (სადაც ვინმე უწევს დახმარებას სტრუქტურულად დაგეგმილი გზით, წინასწარი დირექტივები (სადაც მოწიფული აკონკრეტებს მის სურვილებს, მომავალ ფუნქციონალური ქმედუუნარობის შემთხვევაში) ანდა ადვოკატის უფლებამოსილება (სადაც მოწიფული აკონკრეტებს პიროვნებას რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებებს მის მაგივრად ფუნქციონალური ქმედუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში) ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია.

- მოწიფულს, მეურვეობის პროცესის დროს, ხელი არ მიუწვდება ადეკვატურ იურიდიულ რჩევაზე და წარმომადგენლობაზე რომელიც დაეხმარება მას უნარიანობის ჩამორთმევის პროცესში.

ამ დასკვნებზე დაფუძნებით, მდას-სი რეკომენდაციას უწევს საქართველოს მთავრობას რომ შეცვალოს კანონები რომელიც ზეგავლენას ახდენს მეურვეობაზე. ეს ანგარიში აწესებს პრინციპული რეკომენდაციების სერიას რომლებიც სპეციალურად იქნა შექმნილი იმისთვის რომ გააუმჯობესოს მეურვეობის კანონები და პრაქტიკა, და შესაბამისად მიაღწიოს უკეთეს პატივისცემას უუნარო პირების ადამიანის უფლების დაცვის მიმართ საქართველოში. მდაც-სი სპეციფიკურად აჩქარებს მთავრობას რომ გამოიმუშავოს ნაციონალური უუნარობის პოლიტიკა და აგრეთვე ახალისებს მას რომ შეასრულოს რეფორმების პროცესი იმ გზით რომელიც აქტიურად ჩართავს და პატივს სცემს ინტელექტუალად და ფსიქო-სოციალურად (ფსიქიკური ჯამრთელობა) უუნარო პირებს, და ასევე მათ ლოკალურ და ნაციონალურ ორგანიზაციებს.

# რეკომენდაციები

ეს ანგარიში მიგვანიშნებს რომ საქართველოს კანონი მეურვეობაზე და მისი პრაქტიკული გამოყენება, ვერ აღწევს ძირითად ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. ამის ნათელი ქვეტექსტი არის ის რომ შესაძლებელია, 23,000-ზე მეტი ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება განაგრძობს საკანონმდებლო ნიადაგის რეფორმაციას და მხარს დაუჭერს მათ ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ რეფორმების განხორციელებაში.

ინდიკატორები რომლებსაც ქვემოთ მივმართავთ (და ნაჩვენებია ფრჩხილებში), არის ძირითადი 29 მაჩვენებელი რომელიც საჭიროა იმისთვის რომ ისეთი მეურვეობის სისტემა შეიქმნას რომელიც დაემორჩილება ადამიანის უფლებებს. ისინი აქ მოცემულია იმისათვის რომ მიმართოს მკითხველი მათი უფრო დეტალური ალაზისკენ, რომელიც მოცემულია ამ ანგარიშის მთავარ სექციაში. მდაც-სი რეკონდირებს შემდგომს:

1. მეურვეობის ალტერნატივეს უზრუნველყოფას: საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიყენოს ყწელაზე ნაკლებად შემზღუდველი ალტერნატივები, რომელიც ხელს უწყობს დამოუკიდებლობას და აგრეთვე იცავს მოწიფულს შემდეგნაირად:

   ⇨ ქმნის დამხმარე გადაწყვეტილების-მიღების სამსახურს. ასეთი სამსახური უნდა დაფუძნებული იყოს შემდეგ ძირითად პრინციპებზე:
   - მოწიფული ინარჩუნებს სრულ ქმედუნარიანობას ამავდროულად იგი იღებს მომსახურებაოს დამხმარე პიროვნებისგან/ ქსელისგან.
   - დამხმარე პიროვნება/ქსელი არ უნდა იქნეს დანიშნული მოწიფულის თანხმობის გარეშე.
   - მოწიფული და დამხმარე პიროვნების/ქსელის შორის უნდა არსებობდეს ნდობაზე აგებული კავშირი. სასამართლომ არ უნდა შექმნას ეს კავშირი, მხოლოდ უნდა აღიაროს იგი.
   - დამხმარე პიროვნება/ქსელი არ უნდა მოქმედებდეს მოწიფულის სახელით გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სფეციალურად მიიღო ასეთი ინსტრუქცია, მაგრამ ეს უნდა შემოიფარგლოს დახმარებით და მხარდაჭერით გადაწყვეტილების მიღებაში და მის გადაცემაში.
   - უნდაარსებობდესისეთიდამცავიმექანიზმებირომლებიცდაიცავს მოწიფულს ბოროტად გამოყენებასა და ექსპლუატაციისგან.

⇨ უზრუნველყოფილს უფლებას რომ შეიქნმას სავალდებულო წინასწარი დირექტივები (სადაც მოწიფული აკონკრეტებს მის სურვილებს, მომავალ ფუნქციონალური ქმედუუნარობის შემთხვევაში)ასევეადვოკატისუფლებამოსილება(სადაცმოწიფული აკონკრეტებს პიროვნებას რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებებს მის მაგივრად ფუნქციონალური ქმედუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში). ინდიკატორი 26.
⇨ გაუქმნდეს პლენარული მეურვეობა. ინდიკატორი 20 და 27.
⇨ მეურვეობა იქნეს გამოყენებული როგორც უკანასკნელი საშუალება. ინდიკატორი 26.

2. მაქსიმალურადგაიზარდოსაუტონომია:საქართველოსხელისუფლებამ უნდა შემდეგნაირად უზრუნველყოს რომ მოწიფულს, რომელიც მეურვეობის ქვეშ იქნა მოთავსებული, შეუნარჩუნდეს უფლება რომ მიიღოს გადაწყვეტილებები, ცხოვრების ყველა იმ სფეროში სადაც მას შენარჩუნებლი აქვს ფუქციონალური უნარი:

⇨ მოიხნას აუტომატიური აკრძალვა, მეურვეობის ქვეშ მოთავსებულ მოწიფულებზე რომ ისარგებლონ ისეთი ფუნდამენტალური უფლებებით როგორიც არის: საკუთრების უფლება, დაქორწინების უფლება და ხმის მიცემის უფლება. ინდიკატორები 13, 14, 15, 16.
⇨ მეურვე დაავალდებულოს, რომ მოძებნოს ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ცხოვრების პირობები. ინდიკატორი 21.

3. გააუმჯობესოს პროცედურები: საქართველოს მთავრობამ უნდა შემოიღოს შემდეგი გარანტიები, რომ უზრუნველყოს მოწიფულის უფლება სრული და აზრიანი მონაწილეობის მეურვეობის პროცესში, პროცესის დასაწყისიდან მანამდე სანამ მოწიფული იმყოფება მეურვეობის ქვეშ:

⇨ უზრუნველყოს სახემწიფოს მიერ დაფინანსებული სამართველბრივი წარმომადგენლობა, მთელი მეურვეობის პროცედურეს დროს, გასაჩივრების პროცედურის ჩათვლით. კანონმა უნდა მიანიჭოს რეგულარული სამართლებრივი წარმომადგენლობის უნფლება მეურვეობის საქმეებში, რომელსაც ისეთი მინიმალური სტანდარტი მაინც ექნება როგორიც უზრუნველყოფილია სამართლის სხვა დარგებში. ინდიკატორი.
⇨ შემოიღოს წვრთნა ადოკატებისთვის რომელიც მოიცავს მეურვეობის პროცესის პრაქტიკულ ასპექტებს და შესთავაზოს სპეციალურ წვრთნას თუ როგორ წარმოადგინონ კლიენტები რომელთა ფუნქციონალური უნარი შიეძლება იქნეს შემცირებული. ინდიკატორი.
⇨ მოსთხოვოს მეურვეს რომ რეგულარულად მოინახოს მოწიფული რომლის მეურვედაც იგი დაინიშნა და განიხილოს მასთან მნიშვნელოვანი საკითხები. თუკი მოწუფულს არ შეუძლია გამოხატოს საკუთარი სურვილები, მეურვე უნდა იყოს ვალდებული რომ

მიიღოს გადაწყვეტილებები და ჩაიწეროს ეს გადაწყვეტილებები, მოწიფულის წინა სურვილების გათვალისწინებით და მოწიფულის რწმენების სისტემის და ცხოვრების ისტორიის მიხედვით. ინდიკატორი 23.

- გაასწოროს კანონში არსებული ხარვეზები, რომლებიც უფლებას იძლევა რომ მოწიფული იქნეს დაკავებული მისი ქმედუუნარობის დასადგენად. ინდიკატორი 5.

4. აარიდოს ბოროტად გამოყენება: საქართველოს მთავრობამ შემდეგი მეთოდებით უნდა აირიდოს მეურვეობის ურთიერთობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობები:

- მკაფიოდ აკრძალოს მეურვედ დანიშვნა ისეთი პირის რომესაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი მოწიფულთან. ინდიკატორი 11.
- დაადგინოს ქმედუნარიანობის შეფასების ობიექტური კრიტე-რიუმები, რომელიც უნდა ჩატარდეს მულტი-სადისციპლინო ჯგუფის მიერ (არა მხოლოდ ფსიქიატრის) და დააწესოს მკაფიო საფუძვლები მოწიფულის იურიდიული უნარიანობის შესაზღუ-დავად. ინდიკატორი 7 და 8.
- განიხილავდესმეურვეობასროგორცდროებითზომას,მეურვეობის სავალდებულო მიმოხილვის მეშვეობით, და გამოიყენოს ეს რეტროსპექტული მიმოხილვის მიმართ. ინდიკატორი 28.
- შექმნას რეგულარულად მოდერნიზირებული მონაცემთა ბაზა.
- უზრუნველყოსმეურვეთაწვრთნა,შეაფასოსესწვრთნადამოითხოვოს მეურვეების უწყვეტი პროფესიონალური განვითარება.
- უზრუნველყოს რომ მოწიფულებმა რომელიც მოთავსებულია მეურვეობის ქვეშ, შეინარჩუნონ სრული ქმედუნარიანობა, ნებისმიერ საკითხებში რომელიც ეხება ადგილობრივი ხელისუფლების სამეურვეო ოფისებს (მაგ. შეიტანოს საჩივარი მეურვის წინააღმდეგ) და საშუალება მისცეს მოწიფულს რომ მოიპოვოს ოირიდული დახმარება რომ სამართლებრივი განხილვა მოიპოვოს სამეურვეო ორგანოს გადაწყვეტილებების მიმართ რომელიც უკანონო ან არაგონებრივია.
- დაავალდებულოს ადგილობრივი ხელისუფლების სამეურვეო ორგანოები რომ დააარსონ ეფექტური და ხელმისაწვდომი საჩივრების შეტანის სისტემა რომელიც შეიძლება პირდაპირ ხელმისაწვდომი იყოს იმ მოქიფულებისთვის რომელიც მეურვეობის ქვეშ იმყოფება; და დაავალდებულოს ასეთი სამეურვეო ორგანო რომ უზრუნველყოს ინფორმაცია რომელიც ისეთ ფორმატში იქნება რომელსაც გაიგებს ყველა მოწიფული, რომელიც იმყოფება მეურვეობის ქვეშ. ინდიკატორი 25.

მდაც-სი იმედოვნებს რომ ამ რემომენდაციების განხორციელება, მნიშვნელოვნად გამოასწორებს საქართველოს მეურვეობის სისტემის ხარისხს, მეურვების ქვეშ მყოფი მოწიფულების ადამიანის უფლებების და ინტერების დაცვის მეშვეობით.

# 1. შესავალი

## 1.1 მეურვეობა

ანგარიში შეეხება მეუვეობას მოწიფულებზე და არ ისაუბრებს სამართლებრივ ზომებზე ბავშვების მიმართ. მდაც-სი განსაზღვრავს "მეურვეობას" როგორც სამართლებრივ ურთიერთობას რომელიც დადგენილია სასამართლო პროცესით, მოწიფულის შორის რომელიც მიჩნეული არის როგორც უუნარო მიიღოს პირადი გადაწყვეტილებები და პიროვნების რომელიც დანიშნულია მიიღოს გადაწყვეტილებების ამ პირის მაგივრად.[3] მეურვეობის ირიდიული მექანიზმი, გარკვეულ ფორმით არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა იურისდიქციაში. ის არის ფართოს მიღებული, როგორც ინდივიდების დაცვის საშუალება რომლებიც მიჩნეულნი არიან უუნარო მართონ საკუთარი პირადი საქმეები, პსიქო-სოციალური უუნარობის(ფსიქიკური ჯამრთელობის პრობლემა), ინტელექტუალური უუნარობის, დეგენერატიული დაავადების, ღრმა ფიზიკური ანდა სენსორული უუნარობის შედეგად.

მეურვეობა ძირითადათ დგინდება სასამართლო პროცედურით, ან სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურების კომბინაციით, რომლის დროსაც მოწიფულები არიან მიჩნეული ნაწილობრივ ან მთლიანად მოკლებული უნარს რომ მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი სახელით. ამ დასკვნის შედეგი შეიძლება იყოს ის რომ მოზარდი იქნება ქმედუუნაროდ მიჩნეული.[4] სასამართლო (ან ადმინისტრაციული ორგანო) შემდგომ ნიშნავს მეურვეს რომელმაც უნდა იმოქმედოს მოზარდის სახელით. მეურვეს სპეციალური ძალაუფლება მოზარდზე განისაზღვრება კანონით ან სასამართლო ბრძანებით. ძირითადათ მეურვეს აქვს არამარტო გადაწყვეტილების მიღების უფლება არამედ მოვალეობა დაიცვას მოზარდის კეთილდღეობა. მეურვეობის ეფექტურობა, როგორც ინსტიტუციის, ძირითადათ დამოკიდებულია თითოეულ მეურვის პიროვნებაზე და ისეთ პიროვნულ დამახასიათებლებზე როგორც კომპეტენტურობა, სიბეჯითე და სინდისიერება.

[3] ინგლისური ტერმინები რომელიც გამოყენებულია ამ ანგარისში მიღწეული იქნა დიდი დებატების ხარჯზე. შესაძლოა სხვა ენებში იქნება ან უკვე იყო მსგავსი დებატები. რომ დავეხმაროთ მკითხველს გაიგოს ტერმინოგია რომელიც გამოყენებულია არ ანგარისში,მოკლე სიტყვარი შიეძლება იქნეს ნაპოვნი დანართ ა-ში.

[4] ამ ანგარისში მდაც-სი ხმარობს ტერმინს "ქმედუნარიანობა", როგორც განსაზღვრულია სიტყვარში 57 გ. დანსხვავებული იურისდიქციები ხმარობენ განსხვავებულ ტერმინოლოგიას რომ განსაზღვრონ პირის იურიდიული უუნარობა იმოქმედოს საკუთარი სახელით, როგორებიცაა მაგალითად "უუნარო" ან "არაკომპეტენტური". ზოგიერთი კანონები უზრუნველყოფენ ნაწილობრივი ან შეზღუდული უნარიანობის არსებობას.

მეურვეობის ქვეშ მოთავსებას, აქვს ძლიერი ზეგავლენა, მათ ცხოვრებაზე ვინც იქნა მოთავსებული მეურვეობის ქვეშ. მდაც-სის გამოკვლევამ რომელიც ჩატარდა რამოდენიმე ქვეყანაში გვაჩვენა რომ ბევრ შემთხვევებში როცა მოწიფული მოთავსებული იქნა მეურვეობის ქვეშ, იგი კარგავს უფლებას მიიღოს ძირითადი გადაწყვეტილებები და აგრეთვე უფლებას სარგებლობდეს სხვა ფუნდამენტალური ადამიანის უფლებებით. მოწიფულის ბოროტად გამოყენებას და უგულებელყოფას შედეგად მოაქვს წარუმატებლობა მოწიფულის დაცვაში და აგრეთვე ისეთ გადაწყვეტილებების მიღებაში რომლებიც ეწინააღმდეგება ამ მოწიფულის ინტერესებს და სურვილებს. შესაბამისად იმისთვის რომ იყოს ეფექტური, მეურვეობის სისრემამ უნდა ზედამხედველობა გაუწიოს მეურვის მოქმედებებს და იქონიოს ეფექტური პასუხისმგებლობის სისტემა.

როგორც უუნარო პიროვნებების უფლებების მოძრაობა იძენს ძალას, მეურვეობის მოედელი, როგორც გონებრივად უუნარო ადამიანების დაცვის და დახმარების საშუალება, მზარდი კრიტის ქვეშ ექცევა. ძირითადი კრიტიკა არის დაკავშირებული იმასთან რომ მეურვეობის სისტემა ვერ ახერხებს რომ უზრუნველყოს ადეკვატური ჯეროვანი პროცესუალურის დაცვა მეურვეობის სისტემის შექმანასა და ადმინისტრირებაში, აგრეთვე სისტემა ვერ ახერხებს თვითდამკვიდრების უფლების უზრუნველყოფას.[5] რამოდენიმე იურისდიქციაში, როგორიც კანადა და გაერთიანებული სამეფოა, მეურვეობის კანონები რეფორმირებული იქნა და გამოიკვეთა ალტერნატიული საშუალებები დაცვის და დახმარების უზრუნველსაყოფად. შესაძლებელია, რომ მათგან ყწელაზე აღსანიშნავია დამხმარე გადაწყვეტილების-მიღების მოდელი.[6] შედეგად კანონმდებლები და სასამართლოები ამ ქვეყნებში განიხილავენ მეურვეობას როგორც უკანასკნელს საშუალებას რომელიც არის გამოყენებული მხოლოდ მაშინ როდესაც სხვა ნაკლებად შემზღუდავი დახმარების და დაცვის საშუალებები უკვე ამოიწურა.

ფორმალურად მეურვეობა დაგვიანებულად იქნა აღიარებული საერთაშორი ადამიანის უფლებების სამართლის მიერ როგორც საერთაშორისო მაშტაბის გადაუდებელი საკითხი. ახლად მიღებულ გაერს კონვენციაში უუნარო პირების უფლებებზე (უუნარობის კონვენცია), ქმედუნარიანობა, ცნება რომელიც მეურვეობის განუყრელ ნაწილს შეადგენს, არის განაწილებული 12 მუხლში, რომელიც ადგენს:

5 კანადის ასოციაციის საზოგადო ცხოვრების (ჩ ჩ ) ანგარიში.დავალების ძალა მეურვეობის ალტერნატივებზე, 1992წ.აგვისტო, ხელმისაწვდომია: ჰტტპ://წწწ. წორლდენაბლე.ნეტ/რიგჰტს/ადჰოც3მეეტ–გუარდიანსჰი პ.ჰტმ.

6 დამხმარე გადაწყვეტილების-მიღების დეფინიცია იხილეთ სიტყვარში 58 გ.

mental disability advocacy center

## თანასწორობა კანონის წინაშე

1. მონაწილე სახელმწიფოები ხელახლა ადასტურებენ რომ უნარების არ მქონე პიროვნებებს აქვთ უფლება რომ ყველგან იყვნენ აღიარებული როგორც პირები კანონის წინაშე.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ რომ უნარების არ მქონე პირები სარგებლობენ იურიდიულ უნარიანობით თანასწორად სხვებთან ერთად, მათი ცხოვრების ყველა ასპექტზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ სათანადო ზომებს რომ უზრუნველყონ იმ მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა, რომელიც ესაჭიროება უნარების არ მქონე პირებს თავიანთი იურიდიული უნარიანობის გამოყენებაში.

4. მონაწილე სახელმწიფოები უქრუნველყოფენ რომ ყწელა ზომები რომელიც დაკავშირებულოა ქმედუარიანობის განხორციელებასთან იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი და ეფექტური დამცავი მექამიზმები რომ აღიკვეთოს ბოროტად გამოყენება, საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართლის შესაბამისად. ასეთ დამცავ მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს რომ ზომები რომელიც დაკავშირებულია იურიდიული უნარიანობის გამოყენებასთან პატივს სცემენ პიროვნების უფლებეს, სურვილებს და მჯობინებს, თავისუფალი არიან ინტერესთა კონფლიქტისგან, პროპორციული და მორგებული არიან პიროვნულ გარემოებებზე, გამოყენელი არიან უმოკლეს ვადისთვის და რეგულარულად არიან მიმოხილული კონმპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოვებელი ხელისუფლების და სასამარტლო ორგანოს მიერ. დამცავი ზომები უნდა იყოს პროპორციონალური იმ ხარისხთან რომელითაც ეს ზომები ზეგავლენას ახდენენ პიროვნების უფლებებსა და ინტერესებზე.

5. ამმუხლისდებულებსდაქვემდებარებულიმონაწილესახელმქიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო და ეფექტური რომეგი რომელიც საჭიროა იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნეს უნარების არ მქონე პირების უფლება რომ ქონდეთ საკუთრება, აკონტროლონ თავიანთი ფინანსური საქმეები და ქონდეთ თანასწორად ხელმისაწვდომი საბანკო სესხები, გირაო და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტები, და აგრეთვე უნდა უზრუნველყონ რომ უნარების არ მქონე პირებს თვითნებურად არ ჩამოერთმევათ მათი საკუთრება.

ზემოთ მოყვანილი დებულებები პირდაპირ ეხება მეურვეობას. მეტიც, ისინი მატებენ რწმენას მდაც-ის მოწვევას რომ შეიცვალოს პარადიგმა რომელიც თვითნებურად ართმევდა ადამიანის უფლებებს მათ ვინც მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა, იმისკენ რომ შეიქმნას ნაციონალური პოლიტიკა და კანონები რომლებიც უუნარობის კინვენციას და

განსაკუთრებულად 12 მუხლის დებულებებს რეალობათ აქცევენ. ეს არის მდაც-ის სურვილი და განზრახვა რომ ამ ანგარიშმა გავლენას იქონიოს როგორც სისწრაფეზე ასევე მიმართულებაზე რომლისკენაც შეიცვლება ეს პარადიგმა.

## 1.2 მეურვეობის გამოკვლევა

ბევრ ქვეყანაში, სადაც მდაც-სი მუშაობს მეურვეობის კანონები ათეული წლების განმავლობაში შედარებით უცვლელი რჩებოდა. მაგრამ ეს კანონები მოსალოდნელია მალე შეიცვალოს რადგანაც ეს ქვეყნები აგრძელებენ თავიანთ კანონმდებლობის საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას. იმისათვის რომ ხაზი გაუსვათ მეურვეობას როგორც სფეროს რომელსაც სასწრაფო რეფორმები ესაჭიროება, მდაც-მა წამოიწყო მეურვეობის პროექტი რომ იდენტიფიცირება მოახდინოს არსებული საკანონმდებლო რეჟიმების სიმაგრე და სისუსტეები. პროექტს აქვს ორი სტადია. პირველ სტადიაში ჩატარდა სპეციფიკური საკანონმდებლო რეჟიმების გამოკვლევა რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს მეურვეობაზე. რადგანაც კანონმდებლობა და რეალობა ხშირად განსხვავდება, მეორე სტადია იკვლევს ამ რეალობას, იმპლემენტაციის განხილვის საშუალებით, ანუ კანონის და იმის თუ რა ეფექტს ახდენს კანონი ინდივიდზე რომელიც უპირისპირდება მეურვეობის პროცედურებს და მის შემდგომ სხოვრებას.

მდაც-მა დაიწყო მეურვეობის გამოკვლევის პირველი ეტაპი 2004 წლის ბოლოს, რამოდენიმე ქვეყანაში, მეურვეობის სისტემის სტრუქტურის გამოკვლევით. დასაწყისში ყურადგების ქვეშ მოექცა ოთხი ქვეყანა; ბულგარეთი, უნგრეთი, სერბია და რუსეთი. 2006 წელს მდაც-მა დაიწყო გამოკვლელა დამატებით ოთხ ქვეყანაში; ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საქართველო და კირგისტანში. ცალკეული ანგარიში იქნა მომზადებული, თითოეულ ქვეყანაზე სადაც ჩატარდა გამოკვლევა.

ამ გამოკვლევის სპეციფიკური მიზანი არის გამოიკვლიოს, რამდენად შეესაბამება ამ ქვეყნებში არსებული მეურვეობასთან დაკავშირებული ნაციონალური კანონმდებლობა საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალს, სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკებს, იმისთვის რომ ხაზი გაუსვას იმ არეებს სადაც საჭიროა რეფორმები. როგორც მრავალი პროექტი რომელიც თავიდან მიზნად ისახავს აქამდე გამოუკვლევ ტერიტორიის გამოკვლევას, ამ ანგარიშის შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი შეკითხვები ვიდრე პასუხები. ეს განსაკუთრებულად სიმართლეა რადგანაც მეურვეობის პრიექტი არ არის სტატისტიკური მიმოხილვა არამედ შედარებითი ანალიზი.

## 1.3 აღიარებები

გამოკვლევა წარმოებული იყო იურისტების მიერ თითოეული გამიზნული ქვეყნიდან. კვლევეელებმა ჩაატარეს მთლიანი შიდა გამოკვლევა, დაწერეს პირველადი გეგმები და მონაწილეობა მიიღეს რედაქცირების პროცესში. კვლევა ჩაატარეს: სლავკა კიკოვამ (ბულგარეთი), პეტარ სარდელიჩმა და ალექსანდრა კორაცმა (ხორვატია), ჟუჟანა ბენეშოვამ და დავიდ კოსაჟმა (ჩეხეთის რესპუბლიკა), ნინა დადალაურმა (საქართველო), დანიელ კადერიაკმა[7] (უნგრეთი), მედერ დასტანეკოვმა (ცირგისტანი), ანა სმორგუნოვამ (რუსეთი) და ვიდან ჰადზი-ვიდანოვიჩმა (სერბია)

2003 წლის თებერვალში, მდაც-მა მოიწვია სპეციალური ჯგუფი მეურვეობის სათათბირო ბიუროს შესაქმნელად. ამ ჯგუფმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პროექტის ორივე ეტაპის შემუშავებაში და განხორციელებაში. მეურვეობის სათათბირო ბიურო შედგება ხუთი საერთაშორისოდ აღიარებულ ექსპერტისაგან, გონებრივი ჯამრთელობის, მეურვეობის და ადამიანის უფლებების სამართლის დარგებში:

- დრ. რობბერს მ. გორდონი, დირექტორი და პროფესორი, კრიმინოლოგიის სკოლის, სიმონ ფრაზერის უნივერსიტეტში, ვანკუვერ, კანადაში.
- დრ. გეორგ ჰოერი, თემური მედიცინეს პროფესორი, ტრომსოს უნივერსიტეტი, ნორვეგია.
- დრ. კრასიმირ კანევი, ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტის თავჯდომარე, სოფია, ბულგარეთი.
- ბატონი მარკ კელი, დირექტორი, ირლანდიურ სავჭოსი სამოქალაქო თავისუფლებებისთვის, დუბლინი, ირლანდია.
- დრ. ჯილ პეაუ, იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორი, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო.

მდაც-ს უნდა გამოხატოს მადლიერება მეურვეობის სათათბირო ბიუროს მიმართ როგორც კოლექტიური ასევე ანდივიდუალური წვლილისთვის რომელიც მათ შეიტანეს ამ პროექტის მომზადებაში. ყველა არასიზუსტე დარჩება მხოლოდ მდაც-ის ანგარიშზე. მდაც-ის ყოფილ დირექტორმა გაკოვლევის და განვითარების დარგში მარიტ რასმუსენი მართავდა ამ პროექტს ორი წლის მანძილზე. თანაშემწეებმა პრისცილა ადამსმა, ჯილ დაიმონდმა,ჯილ როშემ და ნიკოლას ცსანმა დახმარება გაუწიეს

[7] დანიელ კადერიაკი იყო აგრეთვე პროექტის ასისტენტი,იგი არის იურიდული ფაკულტეტის გამოსაშვები კურსის სტუდენტი.

გაკოვლევის პროცესში, ისტვან ფენივესიმ შეასრულა პროექტის დაკომპლექტება და დიზაინი.

საქართველოზე ანგარიშის გეგმა მომზადებული იქნა ნანა დადალაურის მიერ, გრიგოლ გიორგაძემ და რუსუდან ნანავამ უზრუნველყვეს ფართო კომენტარები. საბოლოო ვერსია შემუშავებული იქნა იშტვან ფენივესის, სარა გრინის და ოლივერ ლიუისის მიერ.

## 1.4 მეთოდი

### 1.4.1 პირველი ეტაპი: კანონმდებლობის მიმოხილვა

გამოკვლევა, რომელიც წარმოდგენილია ამ რაპორტით, უფრო არის საკანონმდებლო ტექსტის დე ჯურე შესწავლა, ვიდრე იმის თუ როგორ გამოიყენება ეს კანონები პრაქტიკაში. ნაშრომი გამოიკვლევს რა ტიპის დამცავი მექანიზმები არის ხელმისაწვდომი ნაციონალური კანონების და ასევე სხვა შესაბამისი ნაციონალური კანონმდებლობის მიერ:

- იურიდიული პროცედურების შესწავლა, იმისათვის რომ მოვიპოვოთ ან დავასრულოთ მეურვეობა, აგრეთვე პროცედურის მხარეების უფლებები.

- მეურვეობის პროცესის მტკიცებულებების სტანდარტების გამოკვლევა.

- დოკუმენტური უზრუნველყოფა იმ პირთა უფლებების, რომლებზეც უუნარობის ეჭვია, მეურვეობის პროცესის დროს.

- შეფასება რომელი უფლებები იქნა ჩამორთმეული იმის მერე რაც პირი ქმედუუნაროდ ცნობილი.

- მეურვეების უფლებამოსილების და ძალაუფლების ანალიზი, მათი ანგარიშგება და მათზე მონიტორინგის განხორციელება, და ასევე პროცესი, თუ ასეთი არსებობს, მეურვეების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის.

### 1.4.2 მეორე ეტაპი: ცნობების შეგროვება სფეროდან

მეორე ეტაპის ფოკუსია, მოცემულ ქვეყანებში, სამეურვეო პრაქტიკების დე ფაცტო[8] გამოკვლევა. ამისათვის, ისმინება სასამართლო პროცესები,

[8] 'ნამდვილი, ფაქტობრივად არსებული, ეფექტის მქონე მიუხედავად იმისა რომ ფორმალურად ან იურიდულად არ არის აღიარებული' ბლექის იურიდიული ლექსიკონი (ვესტის მე-8 გამოცემა, 2004).

იკვლევა სასამართლო კართოტეკა, და რამდენათაც შესაძლებელია დაკვირვება ხდება სამეურვეო ორგანოს პროცედურებზე და სამეურვეო ორგანოს კართოტეკაზე.

რადგან, გარკვეული სახის იმფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ იმათგან ვინც მონაწილეობს მეურვეობის პროცესში, მკლევლები თვალს ადევნებენ საქმეებს, სასამართლო და სამეურვეო ხელისუფლების მოსმენებს, ეცნობიან საქმეების კართოტეკას და აწარმოებენ ინტერვიუებს. ინფორმაციის შეგროვების ეს მეთოდები იძლევიან საშუალებას რომ დაჭერილი იქნეს მეურვეობის პრაქტიკების მომენტალური კადრი.

ისეთი კვლევის წარმოება რომელიც შეიცავს მონაწილეების ინტერვიუს, თანაც ზოგიერთ მათგანს გააჩნია ფსიქიკური ჯამრთელობის პრობლემები ან ინტელექტუალური უუნარობა, აღძრავს სერიოზულ ეთიკურ საკითხებს ამ პირების საიდუმოების დაცვაზე და მათ უნარზე გაიგონ ინტერვიუს მიზანი და მისცენ ინფორმირებული თანხმობა მათ ჩატარებაზე. მდაც–მა ყურადგებით შეისწავლა ეთიკური საკითხები, რომლებიც წამოიწია გამოკვლევის ამ აპექტის მიერ და შეიმუშავა ხელმძღვანელობა იმისათვის რომ დაიცვას მონაწილეები და ინფორმაცია რომელიც მათ მიერ იქნა მოწოდებული. ეს ხელმძღვანელობა ადგენს სტანდარტებს რომლების მიხედვითაც გამოკვლევის “სუბიექტი” ინფორმირებული უნდა იქნეს, გამოკვლევაში მონაწილეობის ნებაყოფლობით ბუნებაზე, მონაწილეობაზე ნებისმიერ დროს უარის თქმის შესახებ და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის პირობებზე.

## 1.5 ინდიკატორები მეურვეობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეფასების

მდაც-მა პროქტის შექმნისას გამოიყენა 29 ინდიკატორი, და შემდგმომ კანონმდებლობა არის ანალიზირებული მათ მაჩვენებლებზე.[9] ეს ინდიკატორები შედგენილია ძირითადი ევროპული დოკუმენტების საფუძველზე რომლებიც ეხება მეურვეობას და დამხმარე გადაწყვეტილების-მიღებას, კერძოდ ეუროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას ო.ღ(99)4 “პრინციპები რომელიც ეხება უუნარო მოწიფულების იურიდიულ დაცვას”, შემდგომ ინდიკატორები ამოღებულია რეკომენდაციის ახსნითი მემორანდუმის[10] და მეურვეობის კანონმდებლობის მიმოხილვით ევროპულ ქვეყნების, გაერთიანებული შტატების და კანადის იურისდიქციებში. მდაც-მა ჩამოაყალიბა ეს ინდიკატორები იმის გათვალი-

9 ყველა 29 ინდიკატორის შემაჯამაბელი ცხრილი იხილეთ დანართ ბ- ში.

10 მემორანდუმის სრული ტექსტი იხილეთ: ჰტტპს://წცდ.ცოე.ინტ/Vიეწ ოც.ჯსპ?იდ=407333.

წინებით რომ ყველა განხილულმა სახელმწიფომ, კირგისტანის გარდა, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები არსებობს დიდი მოლოდინი რომ ისინი შეასრულებენ მის "რბილ კანონებს",[11] როგორიცაა რეკომენდაცია ო.ღ(99)4.

მდაც-ის ინდიკატორები თავს უყრის ძირითად დამცავ მექანიზმებს, რომელიც აუცილებებია იმისთვის რომ არსებობდეს, პიროვნებაზე-კონცენტრირებული მეურვეობის სისტემა რომელემიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. განზრახვა იყო რომ ინდიკატორები შედარებით მარტივი და მოკლე ყოფილიყო მაშინაც რომცა საკითხი რომელსაც ისინი ხაზს უსვამენ პირდაპირი არ არის.

ინდიკატორები არ არის ამომწურავი მაგრამ ხაზს უსვამს კრიტიკულ საკითხებს რომლებსაც ხვდება მოწიფული მეურვეობის სისტემებში გარკვეული პუნქტის ან საკითხის გამორჩენა ინდიკატორიდან, არ ნიშნავს იმას რომ საკითხი უმნიშვნელოა ან პრობლემას არ წარმოადგენს მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის ჩარჩოში. გამოკვლევის და ანალისის სტანდარტებში მოქცევით, მდაც-ი მიზნად ისახავს რომ შექმანს საშუალებები ხალხისთვის რომ შეადარონ მეურვეობის სისტემები სხვადასხვა ქვეყნებში.



11 'რბილი კანონი' ეხება წესებს, რეკომენდაციებს, დირექტივებს ან ფართო პრინციპებს რომლებიც არ არიან მკავრად იურიდიულად სავალდებულო, მაგრამ მიუხედავათ ამისა არიან იურიდიულად მნიშვნელოვანი. ბლექის იურიდიული ლექსიკონი (8-ვე გამოცემა). რბილი კანონი გულისხმობს ხალემწიფოების მხრიდან გარკვეულ დონის პოლიტიკურ და მორალ ვალდებულობების საკუთარ თავზე აღებას და არის იურიდულად სავალდებულო ნორმების ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტი. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები არის რბილი კანონი, კომიტეტი უფლებამოსილია სთხოვოს მონაწილე სახელმწიფოებს რომ მათ მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მოქმედებები იქნა მიღებული კომიტეტის რეკომენდაციების შესარულებლად,ამით რეკომენდაციებს ენიჭებათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა.

# 2. მეურვეობის კანონი და პოლიტიკა საქართველოში



## 2.1 შესავალი

საქართველო, არის სახელმწიფო ევრაზიის კავკასიის რეგიონში, და ესაზღვრება დასარვლეთით შავ ზღვას, ჩრდილოეთით რუსეთს, სამხრეთით თურქეთს და სასომხეთს, დასავლეთით აზერბაიჯანს. იგი მოიცავს 61,700კმ², მოსახლეობა 2006 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით შეადგენდა 4,403,000 ადამიანს. საქართველო არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკათა ერთ ერთი რესპუბლიკა, და იყო 1921 წლიდან 1991 წლამდე ერთერთი თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა და განიცადა ტურბულენტური ცვლილებების პერიოდი.

ეკონომიკური უმოქმედობა და ნაციონალური პროდუქციის უქონლობამ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბემდე მიიყვანა. განსაკუთრებით უხეში ზეგავლენის ქვეშ ჯამრთელობის დაცვის სისტემა მოექცა. სახელმწიფო საავადმყოფოები, ქრონიკულ რესურსების ნაკლებობას განიცდიან და აგრეთვე მკურნალობის ხარისხი ძალზედ დაბალ დონეზეა. ძალიან ცოტა სახელმწიფო პროგრამაა რომელიც მიზნად ისახავს. უუნარო პაციენტის მკურნალობის გაუმჯობესებას, რეაბილიტაცია და მათ ინტერგაციას საზოგადოებაში რაც აგრეთვე მოიცავს იმათ პირებს ვისაც აქვს ინტერელქტუალური და ფსიქო-სოციალური (გონებრივი ჯამრთელობის) უუნარობა, მკურნალობის შემსუბუქებას, რეაბილიტაციას და საზოგადოებაში ინტეგრაციას. როგორც სხვა პოტენციალურად დაუცავი ჯგუფი საქართველოს საზოგადოებაში, უუნარო პირებს აქვთ შეუსაბამო მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

სიტუაცია საქართველოში შეიცვალა იმის შემდეგ რაც გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები რომელიც ჩატარდა ედუეარდ შევარდნაძეს პრეზიდენტობის დროს 2003 ნოემბერში, გამოწვეული იქნა ოპოციის ლიდერების მიერ. უზენაის სასამართლომ არჩევნების შედეგების ანულირება მოახდინა, ხოლო ხალხმა დემონსტრაციების გზით რომლებიც კვირაობით გაგრძელდა, იძულებული გახადეს პრეზიდენტი რომ დაეტოვებინა თანამდეობა. ეს მოვლენა, რომელსაც "ვარდების რევოლუციას" უწოდებენ დახასიათდა როგორც გაკაფვა დემოკრატიისკენ.

ამ ბოლო ხანებში, რეორგანიზებული იქნა სოციალური დაცსის სისტემა საქართველოში. მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკა, დაუცავ ჯგუფების მიმართებაში, გამორიცხავს ბევრ ჯგუფს რომლების ადრე მიჩნეული იყო როგორც დაუცავი და რომლების ადრე თვიურ შეღავათებს იღებდა.

შეღავათები იყო მცირეოდენი მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვანი მათი გადარჩენისთვის. შესაბამის კანონმდებლობამ და სიტუაცია, იმ ხალხის რომელიც ინტელექტუალური და პსიქო-სოციალურად უუნარო არიან, დიდი ცვლილებები განიცადა 2003 წლის შემდეგ. უუნარობის საკითხები ისევ არასაკმარისი ყურადღების ქვეშ მოექცა პოლიტიკური ძალების, კანონმდებლობის და საზოგადოების მიერ.

## 2.2 საქართველოს დემოგრაფიული და სოციალური პეიზაჟი

საბჭოთარეჟიმისდამთავრებამ,რომელაცმოჰყვასამოქალაქოომი(1992-1993) და ომი აფხაზეთში, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაწყებაში. ეს კრიზისი გამწვავდა ემიგრაციის დიდი ტალღის დაწყების მიერ. სიკვდილიანობის მაჩვენებლების გაზრდასთან ერთად შეჯამებაში, ამ მოვლენებმა გამოიწვია მოსახლეობის რაოდენობის დრამატული შემცირება. ახლანდელი 4,401,300 მოსახლეობიდან (სამხრეთ ოსეთის[12] და აფხაზეთის არაკონტროლირებადი ტერიტორიების გარდა) 2,284,000 ადამიანი ცხოვრობს ქალაქებში.[13]

პარალელურად, პირების რიცხვი რომელიც მიჩნეული არიან როგორც "უუნარო" მკვეთრად გაიზარდა 2003 წლის შემდეგ.[14] 2003 წელს უუნარო პირების რაოდენობა დადგინდა როგორც 17,689 კაცი, 2004 წელში ეს რაოდენობა გაიზარდა 20,198 კაცამდე ხოლო 2005 წელს მიაღწია 24,471 კაცს. შესაბამი ზრდა აღინიშნა იმ ხალხის რიცხვობრივი მაჩვენებელში რომლების მოთავსებული იქნენ მეურვეობის ქვეშ: 2003 წელს 15,789, 2004 წელს 18,566 ხოლო 2005 წელს 23,015 ადამიანი.[15]

ინტელექტუალურუუნარობისმქონეპიროვნებები,ძირითადათთავსდებიან შვიდიდან ერთ-ერთ პსიქიატრიულ საავადმყოფოში რომელიც არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე. დამატებით შეიქმნა ორი დაწესებულება, ინტელექტუალური უნარის არ მქონე მოწიფულებისთვის: ზურაბიშვილის სახელობის ფსიქიატრიალური საავადმყოფო თბილისში, და მეორე ეგრეთ წოდებული "ინტელექტუალური და ფიზიკური უნარის არ მქონე ხალხის სახლი" დასავლეთ საქართველოში, სოფელ ძევრში.

mental disability advocacy center

12 ქართულად სამხრეთ ოსეთს ეწოდება სამაჩაბლო.
13 ინფორმაცია მოპოვებული იქნა საქართველოს სტატისტიკური მონაცემების დეპარტამენტიდან, 2006.
14 ტერმინი რომეც გამოყენებულია ქმედუუნარო ინდივიდების აღსანიშნავად, დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ წყაროებში არის "ინვალიდი".
15 მონაცემები მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისგან, 2006.

## 2.3 საქართველოს საკანონმდებლო სისტემა

საქართველო არის უნიტარული, საპრეზიდენტო რესპუბლიკა. მთავრობა შედგება პრეზიდენტის და მინისტრთა კაბინეტისგან, რომელიც აგრეთვე შეიცავს პრემიერ მინისტრს. არსებობს პარლამენტი, ხოლო სასამართლოები მიჩნეული არიან როგორც ფამოუკიდებელი ორგანოები.

საქართველო რომანო-გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებს მიუკუთვნება, სამოქალაქო, სისხლის და საჯარო სამართლის დარგებში. მაგრამ,არსებობსმზარდიტენდენციაალგლო-საქსონურისაკანონმდებლო სისტემის წარდგენის მიმართ, მორლის მაგალითებიც მოიცავს კანონებს საპროცესო საქმეებზე, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მიმართ. ამ ბოლო ხანებში იქნა მიღებული სამი საპროცესო კოდექსი; სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1997), ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი (1999) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რომელიც ძალაში შევიდა 2000 წელში. ამ ანგარიშისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსი რომელიც არეგულირებს სანივთო, საოჯახო და პირების ურთიერთობებს.

საქართველოში კანონები არის მიღებული პარლამენტის მიერ, ხოლო ბრძანებების და დეკრეტების გამოცემა აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას მიეკუთვნება. საქართველოს პრესიდენტს აქვს უფლება გამოსცეს დეკრეტები რომლებსაც აქვთ კანონის ძალა, მაგრამ ეს უფლება მას სეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მაშინ როცა ქვეყანაში გამოცხადებილია საგანგებო სიტუაცია. ყველა საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოში იქნა მირებული სპეციფიკური საერთაშორი საჯარო და კერძო სამართლის შეთანხმებები, ასეთი შეთანხმებები საშინაო კანონმდებლობაზე ახდენენ პრეცენდენტს, მაგრამ არა საქართველოს კონსტიტუციაზე. ამ კანონების დაცვის მონიტორინგის მექანიზმები საკმაოდ რეგულალურია. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონვენციის რატიფიცირება, რომაც ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალი საჩივრების შეტანის შესაძლებლობა შექმნა. როგორც ევროპის კავშირის ინიციატივის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მხარემ, არსებობს მოლოდინი რომ საქართველოს კანონმდებლობა ევროპის კავშირის კანონმდებლობის შესაბამისობაში იქნება მოყვანილი.

## 2.4 მეურვეობის კანონი საქართველოში

ეს სექცია გვთავაზობს საქართველოში არსებული მეურვეობის კანონების მოკლე მიმოხილვას. მეურვეობის/უუნაროდ ცნობის პროცესის შეჯამება შემდეგია. სპეციფიკური მეურვეობის კანონი

საქართველოში ძირითადათ მდებარეობს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსში. მისი დებულებები განსაზღვრავს მეურვეობის მცნებას, პროცესს და პროცედურას მეურვის დანიშვნის, პასუხისმგებელ ორგანოს რომელსაც შეუძლია დანიშნოს მეურვე; პირების წრეს ვისაც შეუძლია იყოს დანიშნული როგორც მეურვე; მეურვეების უფლებებს და მოვალეობებს; მათი დათხოვნის საფუძვლებს და ორგანოს ან პირს ვის წინაშეც მათი მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს.

საქართველოში არ არსებობს ერთი ცაკლეული კანონი ინტელექტუალურ ფსიქო-სოციალური (ფსიქიური ჯამრთელობა) უუნარობის მქონე პირებზე. რადგანაც 1997 წლია სამოქალაქო კოდექსი არსებული დებულებები არ ფარავს უუნარო პირების მეურვეობის ყველა ასპექტს, დამატებითი კანონები სხვა წყარობიებიდან უნდა იყოს მიმართილი როცა საჭიროა. ეს კანონებია: საქართველოს კანონი ქმედუუნარო პირების სოციალურ დაზღვევაზე(1995) საქართველოს კანონი სამედიცინო გამოკვლევაზე (2003) ად ახალი საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (2006).

ტერმინი “გონებრივი უნარის არ მქონე პირი” პირველად შემოიღო სოციალური დაცვის კანონმა, რომელშიც აღინიშნა რომ ახალი ტერმინი შეცვლის სიტყვა “ინვალიდს”. მოუხედავად ამისა საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს სხვა ბევრ დამამცირებეს ტერმინს, როგორიცაა მაგალითად “გონებრივად ჩამორჩენილი”.

უუნარო პირების სოციალური დაცვის კანონი, უუნარო პირებს ანიჭებს ფროფესიონალური სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის უფლებას, სრული ინტეგრაციის საშუალებას საზოგადოებაში, და შესაძლებლობას გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი და შრომითი შესაძლებლობები. ეს კანონი აგრეთვე ითვალისწინებს ინდივიდუალურ რეაბილიტაციის პროგრამებს უუნარო პიროვნებებისთვის, გონებრივად უუნარო პიროვნებების ჩათვლით.

კანონი სამედიცინო და სოციალურ ზრუნვაზე განსაზღვრავს უუნარობის შეფასების ცნებას და მიზანს, რადგანაც ეს შეიძლება გახდეს მოწიფულის ქმედუნარიანობის ჩამორთმევის საფუძველი. უნარიანობისშეფასება უნდა ჩატარდეს მანამადე სანამ მოხდება იურიდიული უნარიანობის ჩამორთმევა და მეურვის დანიშვნა.

კანონი პსიქიატრიულ ზრუნვაზე აცხადებს რომ თითოეული პაციენტი უნდა სარგებლობდეს გარანტირებული ჰუმანური მოპყრობით და პატივისცემით. მოუხედავათ ამისა ეს კანონი აგრეთვე შეიცავს არანებაყოფლობით დაწესებულებაში დაკავების ორ ფორმას: “გადაუედებელი სტაციონალური დახმარება” და “იძულებითი მკურნალობა” რომლებიც არის ორაზროვნად გამოხატული, რაც ინსტიტუციონალიზაციის არასწორად გამოყენების საშუალებას იძლევა. აგრეთვე საყურადღებოა ის რომ კანონი არ

აკონკრეტებს კანონიერი წარმომადგენლის უფლებას დაკავებამდე და დაკავების შემდეგ. ეს მოკლე მიმოხილვა შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისათვის რომ ნათელი გახდეს ის რომ საქართველოს მეურვეობის კანონის დებულებები საჭიროებს სასწრაფო რევიზიას.



## 2.5 საქართველოს მეურვეობის პროცესი

საქართველოს მეურვეობის კანონი ითვალისწინებს მხოლოდ პლენარულ (ყველაფრის მომცველ) მეურვეობას. იურიდიული უნარიანობის ჩამორთმევის გარდა კანონი არ ითვალიწინებს სხვა ნაკლებად შემზღუდველი დამცავ საშუალებას. სანამ მოწიფულს ჩამოერთმევა იურიდიული უნარიანობა, უფლებამოსილი უუნარობის შეფასების კომისიამ უნდა ჩაატაროს უუნარობის შეფასება. თითო კომისია უნდა იყოს შედგენილი სულ მცირე ოდენ სამ ექიმს და ფსიქოლოგს. კომისიის ზუსტი შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს ეს დამოკიდებულია ინდივიდუალური საქმის ვითარებაზე. უნარობის შეფასების ჩატარებამდე კომისიის მიერ, შეიძლება ჩატარდეს სამედიცინო შემოწმების და რეაბილიტაციის პროცედურები.[16]

სასამართლომ ან საავადმყოფომ სადაც მოწიფული არის ჰოსპიტალირებული შეუძლია მოითხოვოს უუნარობის შეფასების ჩატარება.კომისიას უფლება აქვს მოაწყოს უუნარობის შეფასება სამედიცინო ან სარეაბილიტაციო ინსტუციაში და გააგზავნოს მოწიფული ამ ინსტიტუციაში. კომისიას აგრეთვე შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ნებისმიერი დაწესებულებიდან, მოიუხედავად მისი ორგანიზაციული სტატუსისა. მთავარი მიზანია რომ უზრუნველყოფილი იქნეს ისეთი უუნარობის შეფასება რომელიც დაფუძნებულია უახლეს და ზუსტ ინფორმაციაზე.[17]

84 იხილე გაეროს გენერალური ასამბლეა,დეკლარაცია გონებრივად ჩამორჩენილი პირების უფლებების შესახებ, რეზოლუცია 2856 (XXVI), 20 დეკემბერი 1971, პარაგრაფი 7.

85 ჰ. ფ. ვ სლოვაკეთი, განცხადება ო. 54797/00, გადაწყვეტილება 8 ოემბერი 2005.

აგრეთვე დაამატა რომ დასკვნა უნდა იყოს აქტუალური იმისთვის რომ გააშუქოს ინდივიდის ფუნქციონალური უნარიანობა სასამართლო მოსმენის დროს. ეს პუნქტები მიგვანიშნებს რომ ექსპერტის დასკვნამაც კი გონებრის უნარიანობის შეიძლება შეიძლება არ გადალახოს საჭირო მტკიცებულების ზღვარის მოთხოვნა.

მეორედ, როგორც შემოთავაზებულია ო. ღ(99)4 რეკომენდაციის მიერ "ქმედუუნარო მოწიფულის მიმართ გამოყენებული დამცავი ზომების დადგენაში ან აღსრულებაში, მოწიფულის ინტერესები და კეთილდღეობა უნდა იყოს უპირველესი მიზანი".[86] ამის მისახწევად გათვალისწინებული უნდა იქნეს ინდივიდის პირადი გარემოებები და დაცვა რომელსაც სთავაზობს მეურვეობის სისტემა, გაზომილი ინდივიდისთვის მიყენებული ნეგატიური შედეგების წინააღმდეგ. როგორც მოცემულია ო. ღ(99)4 რეკომენდაციის 5 პრინციპში, შეზღუდვები არ უნდა იყოს დაწესებული "თუ (ეს) ზომები არ არის აუცილებელი, ინდივიდუალური გარემოებების და მოცემული პიროვნების საჭიროებების გათვალისწინებით". მაგალითად, დასაქმება არის მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობების და თვით-შეფასების წყარო დასაქმებულ ინდივიდისთვის, მეურვეობა შეიძლება არ იყოს ინდივიდის საუკეთესო ინტერესებში თუ შედეგად შრომის უფლება არის შეზღუდული. ამგვარი მოსაზრებები უნდა იყოს შეფასებული პროცედურების დროს იმისთვის რომ დაცული იქნეს 5 და 6 პრინციპის მიერ შემოღებული აუცილებლობის, სუბსიდირებულობის და პროპორციონალურობის მოთხოვნები.

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 10 | მეურვის შერჩევა უნდა ემყარებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს და აღნიშნული მოწიფულის სურვილებს და გრძნობებს. |

დასკვნა: საქართველოს კანონმდებლობა ადგენს მეურვის შერჩევის კრიტერიუმებს. მოწიფულის გრძნობები და სურვილები შეიძლება იქნეს გათვალისწინებული მაგრამ არა იმ შემთხვევებში როცა მოწიფული იძულებით იმყოფება დაწესებულებაში.

ანალიზი: კანონმდებლობა გვთავაზობს რომ მოწიფულის თანხმობა უნდა იქნეს გათვალისწინებული მეურვის არჩევის დროს.[87] მაგრამ, რადგანაც კანონი არის საკმაოდ ბუნდოვანი იმ საკითხთან დაკავშირებით თუ ვინ შეიძლება იქნეს არჩეული როგორც მეურვე და რადგანაც საქართველოში არ არსებობს საზოგადო მეურვეობის სისტემა, მეურვედ უმეტეს შემთხვევაში არის არჩეული მოწიფულის ოჯახის წევრი ან ნა-

86 პრინციპი 8(1).
87 კანონი მეურვეობის შესახებ, 1282(2) მ.

თესავი. კანონი ამავდროულად ადგენს[88] ინდივიდების სიას რომლებიც არ შეიძლება იქნენ არჩეული მეურვეებათ,[89] ასეთი პირები არიან:

- რომლებმაც არ მიახწიეს 18 წლის ასაკს.
- ქმედუუნაროდ იქნენ აღიარებული სასამართლოს მიერ.
- ჩამოერთვათ მამობის ან დედობის უფლებები.
- იშვილა ბავშვი და შემდეგ შვილად აყვანა იქნა ანულირებული იმის გამო რომ პიროვნებამ ვერ შეასრულა მშობლის მოვალეობები.
- მეურვის უფლებების ჩამორთმევა ემუქრება ვინაიდან ვერ შეასრულა თავის მოვალეობები.

იმ შემთხვევებში როცა მოწიფული დაკავებულია პსიქიატრიულ დაწესებულებაში, მოწიფულის სურვილები და გრძნობები მეურვის არჩევასთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული რადგანაც მოწიფული არ ესწრება მეურვის დანიშვნის პროცედურას.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: უუნარობის კონვენცია მოითხოვს კონვენციის მხარეებისაგან რომ მათ უზრუნველყონ ისეთი "ზომები რომლებიც დაკავშირებულია ქმედუნარიანობის აღსრულებასთან, პატივს სცემენ პიროვნების სურვილებს და უპირატესობებს".[90] ეს სავარაუდოდ მოიცავს ასევე მეურვის დანიშვნას.

ო. ღ(99)4 რეკომენდაცია ადგენს რომ მეურვის შესაფერისობის შეფასებისას პირველადი მოსაზრება უნდა იყოს პიროვნების უნარი "დაიცვას და ხელი შეუწყოს მოწიფულის ინტერესებს და კეთილდღეობას".[91] რეკომენდაცია აგრეთვე ადგენს რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბასი ზომები იმისათვის რომ არსებობდნენ კვალიფიცირებული მეურვეები. ეს შეიძლება ნიშნავდეს წვრთნითი ასოციაციების შექმნას.[92] ეს ინდიკატორი აგრეთვე განსახღვრავს ადგენს თუ არა კანონმდებლობა პიროვნების თვისებებს ან ატრიბუტებს რომლებიც აუცილებელია იმისათვის რომ იგი დაინიშნოს მეურვედ. მაგალითად ფინეთის კანონმდებლობა ადგენს რომ მეურვეობის კანდიდატურის შესაფერისობის შერჩევა უნდა ეფუძვნებოდეს მის ჩვევებს, გამოცდილებას და მისი მოვალეობების ბუნებას და დავალებული მოვეობების განფენილობას.[93]

88 იგივე, 1283 მ.

89 იმ პირთა სიის სანახავად ვინც არ შეიძლება მეურვეებათ იყვნენ დანიშნული, იხილე კანონი მეურვეთა შესახებ, მ 1283.:პირები რომლებიც არ შეიძლება იყვნენ დანიშნული მეურვეებად და მომვლელებად.

90 უუნარობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეას მიერ 6 დეკემბერს 2006, 61/611,12(4) მ.

91 პრინციპი 8(2).

92 პრინციპი 17.

93 ფინეთის მეურვეობის მომსახურეობის აქტი, 442/99, თავი 2, სექცია 5. არაოფიციალური თარგმანი მოცოდებულია IX-ის მიერ, ფინეთის სამთავრობო სამსახური. ხელმისაწვდომი: ჭჭჭ.ფინლეხ.ფი/ენ/, ნახული 18 ივლისი 2006.

ო. ღ(99)4 რეკომენდაცია შემდეგ ადგენს რომ " მოწიფულის სურვილები, იმ პიროვნების არჩევასთან დაკავშირებით რომელიც უნდა იყოს მისი დამხმარე და წარმომადგენელი უნდა იქნეს გათვალისწინებული და სათანადო პატივისცემით აღთქმული".[94] რეკომენდაციების ახსნითი მემორანდუმი იძლევა გაფრთხილებას რომ როდესაც ნათესავების შეუფასებელი და შეუცვლელი როლი უნდა იყოს აღიარებული და დაფასებული, კანონი უნდა ითვალისწინებდეს რომ ზოგიერთ ოჯახში არსებობს ინტერესთთა კონფლიქტი და ასევე ამ კომფლიქტიდან გამომდინარე საშიშროებები.[95] საბოლოოდ ო. ღ(99)4 რეკომენდაციის 9 პრინციპი აღნიშნავს რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს მოწიფულის წარსული გრძნობები და სურვილები. ეს პრინციპი ვრცელდება მეურვეობის დადგენის და აღსრულების ყველა სტადიაზე, მაგრამ ის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პიროვნების წარმომადგენლად არჩევისას.

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 11 | მეურვეს არ უნდა ქონდეს ინტერესთა კონფლიქტი ან კონფლიქტის შესახედაობა მოწიფულთან |

დასკვნა: მოწიფულის და მეურვის შორის ინტერესთთა კონფლიქთთად დაკავშირებული საკითხები არ არის დარეგულირეგული კანონმდებლობის მიერ.

ანალიზი: კანონმდებლობა რომელიც ხელმძღვანებობს მეურვის არჩევას აგრეთვე არეგულირებს ურთრიერთობებს მოწიფულსადა მეურვის შორის.[96] კანონი აწესებს რომ მოწიფულის თანხმობა მეურვის დანიშვნასთან დაკავშირებით უნდა იქნეს მოპოვებული მაშინ როცა "ეს შესაძლებელია".

პლენარული მეურვეობა იძლევა მოწიფულსა და მეურვის შორის ინტერესთა კონფლიქტის უფრო დიდ შესაძლებლობებს ვიდრე სხვა ნაკლებად შემზღუდველო ალტერნატივები. ასეთი კონფლიქტის გავცელებული მაგალითია როცა მეურვეს აქვს სრული პასუხისმგებლობა რომ მართოს მოწიფულის საკუთრება. მაგრამ არსებოს რამოდენიმე დებულება რომლებიც მეურვეების საქმიანობის მონიტორინგის საშუალებას იძლევა, იმ ორგანოს მეშვეობით რომელიც ცნობილია როგორც ადგილობრივი სამეურვეო სააგენტო.[97]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ნაწილობრივ იმისათვის რომ თავიდან აცილებული იქნეს ინტერესთთა კონფლიქტი ო. ღ(99)4 ადგენს

[94] რეკომენდაცია ო. ღ(99)4, პრინციპი 9(2).
[95] რეკომენდაცია ო. ღ(99)4 ახსნითი მემორანდუმი, პარაგრაფი 44.
[96] კანონი მეურვეობის შესახებ. 1282 მ.
[97] იგივე, 1284 მ.

"რომ მოწიფულის სურვილები პიროვნების არჩევასთან დაკავშირებით რომელმაც უნდა წარმოადგინოს და დაეხმას მას, უნდა იქნეს გათვალისწინებული რამდნენადაც ეს შესაძლებელია".[98] მაგრამ ო. დ(99)4 რეკომენდაცია პირდაპირ არ განიხილავს ინტერესთა კონფლიქტის საკითხს მოწიფულის და დანიშნული წარმომადგენლის შორის. მაშასადამე შემდგომი წინამძღოლობა შეიძლება იქნეს ნაპოვნი სხვა ქვეყნების კარგ პრაქტიკებში. პრაქტიკების სტანდარტებში რომელიც იქნა მიღებული ნაციონალური მეურვეობის ასოციაციის (ნმა) მიერ, ამერიკაში დაფუძნებული საწევრო მეურვეების და იურიდიული პროფესიონალების ორგანო, განხილული იქნა ინტერესთა კონფლიქტის საკითხები მეურვის შორის და "სამეურვეო პირის"[99] შორის, 16 სტანდარტში აღნიშნულია:

> "მეურვემ უნდა თავიდან აიცილოს კონფლიქტის ან შეუფერებლობის გარეგნული შთაბეჭდილებაც კი როცა მას სამეურვეოს პირის საჭიროებებთან აქვს საქმე. შეუფერებლობა ან ინტერესთა კონფლიქტი იბადება იქ სადაც მეურვეს აქვს რაგაც პირადი ან სააგენტო ინტერესი რომელიც შეიძლება იქნეს აღთქმული როგორც მისი ინტერესების მომსახურე ან მტრული სამეურვეო პირის საუკეთესო ინტერესებისადმი."[100]

მნა-ს 16 სტანდარტი აგრძელებს " მეურვე, რომელიც არ არის ოჯახური მეურვე, არ უნდა უზრუნველყოფდეს ბინას, სამედიცინო, იურიდიულ ან სხვა პირდაპირ მომსახურებას თავის სამეურვე პირისთვის".[101] მეურვეს უნდა ქონდეს თავისუფლება რომ გაასაჩივროს არასათანადო, არაადეკვატური და ცუდი ხარისხის მომსახურებები ამ მომსახურებების მომწოდებლებთათ, მოწიფულის სახელით. ნათელია, იმ შემთხვევებში როცა მეურვე თვითონ უზრუნველყოფს ამ მომსახურებას, მეურვეს აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

98 პრინციპი 9(2).

99 შიტყვა 'სამეურვეო პირი' ფართოდ გამოიყენება ენგლისურად მოსაუბრე სახელმწიფოებში. მაგრამ მდაც-მა გადაწყვიტა რომ არ გამოეყენებინა ეს ტერმინი რადგანაც იგი ამცირებს ინდივიდს.

100 ნაციონალური სამეურვეო ასოციაცია,"პრაქტიკის სტანდარტები," მიღებული ნსა-ს დირექტორთა საბჭოს მიერ, რატიფიცირებული ნსა-ს მონაწილეების მიერ, ივლისი 2000, გამოცემული გამოცემა 2002, 9 გვერდი. სახელმწიფო კოლეჯი, პენსილვანია.

101 ნაციონალური სამეურვეო ასოციაცია, "პრაქტიკის სტანდარტები," მიღებული ნსა-ს დირექტორთა საბჭოს მიერ, რატიფიცირებული ნსა-ს მონაწილეების მიერ, ივლისი 2000, გამოცემული გამოცემა 2002, 9 გვერდი. სახელმწიფო კოლეჯი, პენსილვანია.

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 12 | მოწიფულსაქვსუფლებაგაასაჩივროსქმედუუნაროდ აღიარება და მეურვის დანიშვნა. |

დასკვნა: მოწიფულს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოში ბრძანება რომელიც მოწიფულს ქმედუუნაროდ ცნობს. მოწიფულს არა აქვს უფლება გაასაჩივროს მეურვის დანიშნა, მაგრამ შეიძლება შეიტანოს მასზე საჩივარი.

ანალიზი: თეორიულად მოწიფულს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს სასამართლოს ბრძანება, მაგრამ არსებობს პრაქტიკული სირთულეები თუ მოწიფულს არ აცნობებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას. არ არსებობს მექანიზმი რომელიც მისცემს მოწიფულს შესაძლებლობას გაასაჩივროს მეურვის დანიშვნა, მაგრამ მოწიფულმა შეიძლება შეიტანოს სამეურვეო ორგანოში, საჩივარი მეურვეზე.[102]

მიუხედავად იმისა რომ მეურვის დანიშვნის პროცესი შეიძლება ჩატარდეს ინდივიდის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, საქართველოს მეურვეობის კანინი[103] აძლევს მოწიფულს უფლებას რომ მოსთხოვოს მეურვეობის და მზრუნველობის სახელმწიფო ორგანოს, დაუნიშნოს ახალი მეურვე.

ო. ღ(99)4 რეკომენდაცია ამტკიცებს რომ თითოელ მოწიფულს რომელიც მოთავსებული იქნა მეურვეობის ქვეშ უნდა ქონდეს გასაჩივრების ადეკ-ვატური უფლება.[104] ამ მტკიცებისთვის ღ(99)4 ემხრობა, გაეროს დეკლარა-ციას გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანების უფლებებზე, რომელიც ადგენს რომ როცა პიროვნების უფლებები არის შეზღუდული, ასეთ შეზ-ღუდვებისთვის გამოყენებული პროცედურა უნდა უზრუნველყოფდეს "სათანადო დამცამ მექანიზმებს ყველა ბოროტად გამოყების ფორმის წინააღმდეგ" და უნდა იყოს დაქვემდებარებული "ზემდგომ უფლე-ბამოსილთან გასაჩივრების საშუალებას".[105]

## 2.6.4 მოწიფულის უფლებები მეურვეობის დადგენის შემდეგ (ინდიკატორი 13-17)

თუ კანონი ექვემდებარება საერთაშორისო ადამიანის უფლე-ბების ნორმებს, ინდივიდი რომელიც მოთავსებულია პლენარუ-ლი ან ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ უნდა ინარჩუნებდეს უფლე-

[102] სამოქალაქო კოდექსი 1292 მ.
[103] 1301 მ.
[104] პრინციპი 14(3).
[105] გაეროს დეკლარაცია გონებრივად ჩამორჩენილი პირების უფლებებზე, გამოცხადებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2856 (XXVI) 20 დეკემბერი 1971.

ბას მიიღოს გადაწყვეტილებები რაც შეიძლება მეტ დარგში და უნდა ქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს ეს უფლებები. ინდიკატორი 13-17 მიმართავს იმ უფლებებს რომელიც არსებობს იმის შემდეგ რაც ინდივიდი მოთავსებული იქნება მოთავსებული მეურველობის ქვეშ, ეს უფლებებია: მისცეს ხმა, იმუშაოს, ქონდეს საკუთრება, იქორწინოს, შექმნას ოჯახი, ქონდეს პატივისცემა მისი ოჯახური ცხოვრების მიმართ და უფლება რომ გაერთიანდეს.



| | |
|---|---|
| ინდიკატორი 13 | მეურვეობის ქვეშ მოთავსების შედეგად მოწიფული არ უნდა იყოს ავტომატიურად მოკლებული შესაძლებლობას განახორციელოს პოლიტიკური უფლებები. |

დასკვნა: საქართველოში ქმედუუნარო მოწიფულები მეურვეობის ქვეშ მოთავსებული, მოკლებული არიან შესაძლებლობას განახორციელონ პოლიტიკური უფლებები, როგორიც არის ხმის მიცემის უფლება.

ანალიზი: კანონი არჩევნების შესახებ არ აძლებს ქმედუუნარო პირებს ხმის მიცემის უფლებას,[106] ისევე როგორც კონსტიტუცია.[107] საქართველოს მეურვეობის კანონი ადგენს რომ იმისთვის რომ პიროვნებამ რომელიც ქმედუუნაროდ იქნა გამოცხადებული განახორციელოს რაიმე პოლიტიკური ქმედება მისთვის სავალდებოა მიიღოს კანონიერი წარმომადგენლის (მეურვის) თანხმობა.[108]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: პოლიტიკური მონაწილეობის უფლება და უნივერსალური ხმის მიცემის უფლება არის საერთაშორისოდ აღიარებული სოციალური და პოლიტიკური უფლების კონვენციის 25 მუხლში. უფრო ახლად მიღებული უუნარობის კონვენცია ადგენს უფრო დეტალურად პოლიტიკური უფლებების სპეციალურ კომპონენტებს. ის 29(ა) მუხლი მოითხოვს რომ კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა "უზრუნველყონ უუნარო პირებისთვის პოლიტიკური უფლებები და შესაძლებლობა ისარგებლონ ამ უფლებებით სხვებთან თანასწორად, საამისოდ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ზომები:

- უზრუნველყოფილი იქნეს რომ ქმედუუნარო პირებს შეუძლიად სრულადმიიღონმონაწილეობაპოლიტიკურდასაზოგადოცხოვრებაში თანასწორად სხვებთან ერთად, პირდაპირ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, ქმედუუნარო პიროვნებებისთვის უფლების და შესაძლებლობის რომ მისცენ ხმა და იყვნენ არჩეული, ინტერ ალია, მეშვეობით:

106 საქართველოს კანონი არჩევნებზე, 7(3) მ.
107 საქართველოს კონსტიტუცია, 28 მ.
108 კანონი მეურვეობის შესახებ 15.

- ⇨ უზრუნველყონ რომ საარჩევნო პროცედურები, ხელსაწყოები და საბუთები არის შესაბამისი, ხელმისაწვდომი და იოლად გაგაგები და დამოსაყენებელი.
- ⇨ დაიცვას უუნარო პირების უფლებები მისცეს ხმა საიდუმლოდ, არჩევნებში და სახალხო რეფერენდუმებში დამცირების გარეშე. იქნეს არჩეული, დაიკავოს თანამდეობა და შეუასრულოს საზოგადო ფუნქციები ხელისუფლების ყველა დონეზე, სადაც საჭიროა ისარგებლოს ახალი ტექნოლიგიებით.
- ⇨ გარანტირებული იქნეს უუნარო პირების ნების თავისუფალი გამოხატვა არჩევნების დროს, სადაც საჭიროა, მათივე მოთხოვნით დახმარება იქნეს გაწეული რომ მათ შეძლო მისცენ ხმა თავიანთ მიერ არჩეულ პიროვნებას.[109]

ევროპის ფარგლებში, ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა ნიშნავს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონვენციის დაცვის მოცემული პროტოცოლ 1 მუხლში 3 გააქტიურებას, რომელიც ადგენს რომ სახელმწიფოებმა "უნდა ჩაატარონ თავისუფალი არჩენვნები, გონივრული ინტერვალებით, ხმა უნდა იქნეს მიცემული საიდუმლო კენჭისყრის მეშვეობით, იმ პირობების დაცვით რომელიც უზრუნველყოფს ხალხლის აზრის თავისუფალ გამოხატვას, კანონმდებლის არჩევაში". რაც შეეხება უუნარო პიროვნებებს, საზოგადო მონაწილეობის და დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობას, ეუროპის საბჭომ ახლახან დაადგინა რომ "საზოგადოებამ უნდა გადმოსცეს მისი მოქალაქეების მრავალფეროვნება და ისარგებლოს მათი განსხვავებული გამოცდილებით და ცოდნით, მაშასადამე მნიშვნელოვანია რომ უუნარო პირებს უნდა ქონდეთ საშუალება განახორციელონ თავიანთი ხმის მიცემის უფლება და მონაწილეობა მიიღონ ამგვარ მოვლენებში".[110]

ო. ღ(99)4 რეკომენდაციის 3 პრინციპი სპეციფიკურად მიმართავს გონებრივი უუნარობის მქონე პიროვნებების უფლებას ქონდეს აუტონომია და თვით-დამკვიდრების საშუალება. რეკომენდაცია აკონკრეტებს რომ საკანონმდებლო ჩარჩოები უნდა ადგენდეს ისეთ მეურვეობის კანონებს რომელებიც ცნობს რომ არსებობს ფუნქციონალური უნარიანობის სხვადასხვა დონე, და ასევე ფუნქციონალური უნარიანობის დინამიურ ნატურას რომელიც იცვლება დროის განმავლობაში. ო. ღ(99)4 რეკომენდაცია ხაზს უსვამს რომ დამცავი ზომები ისეთი როგორც მეურვეობა "ავტომატიურად არ უნდა ართმევდეს დადგენილ პიროვნებას ხმის მიცემის უფლებას და ... უფლებას მიიღოს პირადული სახის

[109] უუნარო პირების უფლებების კონვენცია,მიღებული გაეროს მიერ გენერალური ასამბლეას მიერ 2006 წლის 6 დეკემბერს, /61/611, არტ. 29(ა) მ.

[110] ევროპის საბჭოს, სამოქმედო გეგმა რომ ხელი შეუწყოს უუნარობის ქმონე პირთა უფლებებს და მათ სრულ მონაწილეობას საზოგადოებაში: ევროპაში უუნარობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გამოსცორებით 2006-2015, რეკომენდაცია ო. (2006)5, პარაგრაფი 3.1.1.

mental disability advocacy center

გადაწყვეტილებები, ნებისმიერ დროს როცა მისი ფუნქციონალური უნარიანობა ამის საშუალებას იძლევა".[111]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 14 | მეურვეობის ქვეშ მოთავსების გამო მოწიფული ავტომატიურად არ უნდა იყოს მოკლებული შესაძლებლობას განახორციელოს შრომის უფლება. |

დასკვნა: შრომის უფლება არ არის შეზღუდული მეურვეობის ქვეშ მოთავსებული პირებისთვის.

ანალიზი: არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა რომელიც მეურვეობის ქვეშ მოთავსებულ პირებს. უფლებას აძლევს ან უკრძალავს მუშაობას. კანონი სამედიცინო გამოკვლევაზე,[112] უფლებას აძლევს მოწიფულს რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ამ მაღალი დონის უუნარობა დაკავდეს სხვადასხვა ტიპის საქმიანობით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ ჯამრთელობას და ფუნქციონალურ უნარიანობას. იგივე კანონი[113] ადგენს რომ შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იმ ფიზიკური და პსიქიკური დაავადებების სია, რომლის მქონე პირებს, რომლებიც მოთავსებულნი არიან მეურვეობის ქვეშ[114] შეუძლიათ იმუშავონ, სპეციალურ და ინდივიდუალურ პროგრამებში მონაწილეობის მეშვეობით. ეს პროგრამები არის შემუშავებული ქმედუნარიანოს შეზღუდულ პირების, იმის შემდეგ რაც ჩატარდება მათი ქმედუუნარობის დონის გამოკვლევა და დადგენა.[115] შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონე პირებს შეეძლიათ დასაქმებული იქნენ ნებისმიერ საერთო სამუშაო პირობების მქონე დაწესებულებაში, მაგრამ მათი დავალებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ სარეაბილიტაციო პროგრამას.[116]

კანონი ქმედუუნარო პირების სოციალურ დაცვაზე,[117] ადგენს რომ ქმედუუნარო პირებს აქვთ უფლება იქნენ დასაქმებულნი, ნებისმიერი ტიპის იურიდიულ პორში. დამატებით, იგივე კანონი კრძალავს, მეურვეობის ქვეშ მოთავსებული პირისთვის, დასაქმებაზე უარის თქმას, მისი შეზღუდული ქმედუნარიანობის საფუძველზე. ჯამრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიადგინა ფიზიკური და ფსიქიკური დაავადების სია, რომლების მქონე პირები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სპეციალური სარეაბილიტაციო

111 რეკომენდაცია ო. ღ(99)4, პრინციპი 3(2).
112 თავი II, მუხლი 11 (1, 2).
113 მუხლი 11 (2).
114 "დეფექტი" არის სიტყვა რომელიც მოცემულია ამ კონკრეტულ აბზაცში.
115 კანონი სამედიცინო ექსპერტიზაზე, მუხლი 11,2.
116 კანონი სოციალურ უზრუნველყოფაზე, თავი V, 21 დებულება.
117 თავი V, მუხლი 21.

პროგრამებით, ამავდროულად არ არის სავალდებულო რომ ამან ხელი შეუშალოს მათ შრომით საქმიანობას, მაგრამ შრომის დროს მათთვის უნდა შეიქმნას ისეთI პირობები რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ ინდივიდუალურ პროგრამებს.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: კანონმდებლობა რომელიც მეურვეობის ქვეშ მოთავსებულ მოწიფულს შრომას უკრძალავს, ანგრევს ინდივიდუალურ ავტონომიას. ამას შეიძლება ქონდეს ნეგატიური პსიქოლოგიური ზეგავლენა რადგანაც პიროვნება მოკლებული არის თვით-დამკვიდრების და სიციალურ ურთიერთმოქმედების მნიშვნელოვან წყაროს. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონვენციის 8 მუხლი პირადი ცხოვრების დაცვას და პატივისცემას აკანონებს, ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლომ დაადგინა რომ ეს მუხლი ვცელდება მუშაობის უფლებაზე. სასამართლომ ფორმალურად აღნიშნა: "ყველაფრის შემდეგ ეს არის შრომითი ცხოვრების დროს, რომ ადამიანების უმრავლესობას აქვს, მნიშვნელოვანი, თუ არა უდიდესი საშუალება რომ განავითარონ ურთიერთობა გარე სამყაროსთან".[118]

ორივემ ეკონიმიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულება და ეუროპულ სოციალური ქარტია (შესწორებული) იცავს შრომის უფლებას.[119] ო. ღ(99)4 რეკომენდაცია ადგენს რომ სადაც აუცილებებია დამცავი საშუალების გამოყენება, ისინი უნდა იყოს პროპორციონალური მოწიფულის ფუნციონალური უნარიანობის დონესთან და მორგებული ინდივიდის გარემოებებს და საჭიროებებს.[120] მაშასადამე, როდესაც ზოგი შეზღუდვა შეიძლება იქნეს გამართლებული გარკვეულ სიტუაციებში, საერთო შრომის აკრძალვა ყველა პირებითვის ვინც მეურვეობის ქვეშ იმყოფება, თვითნებურად გამორიცხავს ქმედუუნარო პირებს სოზაგადოებაში მონაწილეობისგან, მათი ფუნქციონალური შესაძლებლობების და სურვილების ყოველგვარი გარკვევის გარეშე. ასეთი შეზღუდვები ეწინააღმდეგება გაეროს სტანდარტულ წესებს ქმედუუნარო პირების შესაძლებლობების გათანაწორებაზე რომელიც ადგენს რომ "კანონები და რეგულირებები შრომის დარგში არ უნდა ახდენდეს ქმედუუნარო პირების დისკრიმინაციას და არ უნდა ქმნიდეს დაბრკოლებებს მათი დასაქმებისთვის".[121] ამ მიდგომას იზიარებს ქმედუუნარობის კონვენცია რომელიც ადგენს "ქმედუუნარო პირების უფლება რომ იმუშავონ, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, მოიცავს შესაძლებლობას რომ გამოიმუშავონ საცხოვრებელი თანხა თავისი შრომით,

118 ნიემიეტს ვ. გერმანია, განცხადება ო. 13710/88, გადაცყვეტილება 16 დეკემბერი 1992, (/251-) (1993) 16 ღღ 97, პარაგრაფი 29.

119 მუხლი 6 საერთაშორისო ხელშეკრულების ეკონიმიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, გაეროს დოკუმენტი /6316, ძალაში შევიდა 23 მარტი 1976; მუხლი 15(2) ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), შტრასბურგი, 3 მაისი 1996.

120 რეკომენდაცია ო. ღ(99)4, პრინციპი 6.

121 წესი 7(2).

შრომის ბაზარზე და იმუშაოს ისეთ გარემოში რომელიც ღიაა, ჩამრთავი და ხელმისაწვდომი ქმედუუნარო პიროვნებებისთვის”.[122]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 15 | მოწიფული რომელიც მოთავსებული იქნა მეურვეობის ქვეშ, აუტომატიურად არ არის მოკლებული განახორციელოს საკუთრების უფლება. |

დასკვნა: მოწიფულები რომლებიც იმყოფებიან მეურვეობის ქვეშ, ავტომატიურად არ არიან მოკლებული შესაძლებლობას რომ განკარგონ თავიანთი საკუთრება.

ანალიზი: ზრდასრული ადამიანი რომელიც ქმედუუნაროდ იქნა ცნობილი და მოთავსებული მეურვეობის ქვეშ, ინარჩუნებს ქონების მფლობელობას, მაგრამ კარგავს უფლებას რომ განკარგოს მისი საკუთრება. მეურვეს შეუძლია, მოწიფულის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას მაგრამ არსებობს რამოდენიმე შეზღუდვა რომელიც ვრცელდება მოწიფულის ქონების განკარგვაზე.[123] მაგალითად, არის მოთხოვნა რომ მოპოვებული იქნეს სამეურვეო სააგენტოს თანხმობა ქონების გაყიდვამდე ან გაქირავებამდე თუ ქონება ქირავდება ათ წელიწადზე მეტი ვადით ან სხვა ნებისმიერ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებაზე რომელსაც მოსდევს ფინანსური შედეგები.[124] დამატებით, არსებობს დებულება რომლის მიხედვითაც მეურვეები რომლებიც ბოროტად გამოიყენებენ თავიანთ მდგომარეობას პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე ან იქნებიან დათხოვილი მეურვეების პოზიციიდან.[125]

და ბოლოს მეურვეობის კანონი საკუთრების მეურვის დანიშვნაზე, შესაძლებლობას იძლევა რომ დაინიშნოს ეგრეთ წოდებული “საკუთრების მეურვე” თუ მოწიფულს აქვს უძრავი ქონება რომელიც განლაგებულია შორი მანძილის მოშორებით და რომელშიც მოწიფულ არ ცხოვრობს.[126] მეურვის თანხმობის მოპოვება საჭიროა სანამ სამეურვეო სააგენტო დანიშნავს საკუთრების მეურვეს.[127]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: საკუთრების უფლება მოიცავს ინდივიდის შესაძლებლობას რომ განკარგოს თავის ფინანსები, დაასრულოს გარიგება და დადოს ოურიდიულად სავალდებულო კონტრაქტე-

122 კონვენცია უუნარო პირების უფლებებზე, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 6 ეკემბერი 20066 დეკემბერი 2006, რეფ 61/611, 27(1) მ.
123 საქართველოს კანონი მეურვეობის შესახებ, 1293 მ.
124 იგივე, მ. 1294, მეურვის და კურატორის უფლებამოსილების აღდგენაზე.
125 მ. 13000, მეურვის მოვალეობის არასატანადო შესრულებაზე.
126 მ. 1286.
127 იგივე.

ბი. მეურვეობის სისტემა რომელიც ავტომატიურად ართმევს უფლებას პირს რომ განკარგოს ნებისმიერი ასპექტი თავისი ფინანსების, ანგრევს პიროვნულ ავტონომიას და ღირსებას და დამატებით უარყოფს რომ გონებრივად ქმედუუნარო პირების ფუნქციონალური უნარიანობა შეიძლება იყოს ცვალებადი. ქმედუუნარობის კონვენცია 12 (5) მუხლით ადგენს მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების საკუთრების უფლებას. ამ მუხლის თანახმად მხარეებმა უნდა "მიიღონ ყველა სათანადო და ეფექტური ზომები რომ უზრუნველყონ ქმედუუნარო პირების თანასწორი უფლებები, რომ ფლობდნენ და მიიღონ მემკვიდრეობით საკუთრება, აკონტროლონ საკუთარი ფინანსები, ქონდეთ ხელმისაწვდომი საბანკო სესხები. გირაო და სხვა ფორმის ფინანსური სესხების ალების საშუალება და უნდა უზრუნველყონ რომ ქმედუუნარო პირებს თვითნებურად არ ჩამოერთმევათ საკუთრების უფლებები:

> "საკუთრების მართვის და გამოყენების უფლება დადგენილია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონველნციის 1 პროტოკოლის მუხლი 1 მიერ, რომელიც შეიცავს შემდეგ დებულებას."

ნებისმიერ კერძო და იურიდიული პირი უფლებამოსილია მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მისი საკუთრება, გარდა საზოგადო ინტერესის საფუძველზე, რაც უნდა იყოს მოცემული საშინაო სამართლში და ექვემდებარებოდეს საერთაშორისო სამართლის გენერალური პრინციპებით დადგენილ პირობებს.[128]

ო. ღ(99)4 რეკომენდაცია შემდეგ ადგენს რომ "როცა შესაძლებელია მოწიფულს უნდა ქონდეს შესაძლებლობა რომ დადოს ყოველდრიური ბუნების იურიდიულად ეფექტური გაგიგებები".[129] ევროპის საბჭო ამ თემას დაუბრუნდა 2006 წელს მიღებულ "მოქმედების გეგმით რომ ხელს უწყობს ქმედუუნარო პირების უფლებებს და მათ სრულ მონაწილეობა საზოგადოებაში". გეგმაში ჩამოთვლილია კონკტრეტული ზომები რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მონაწილე სახელმწიფოების მიერ რომ მიღწეული იქნეს ეს შედეგი. გეგმა ასევე შეიცავს პასუფისმგებლობას "რომ უზრუნველყოფილი იქნეს ქმედუუნარო პირების თანასწორი უფლებები რომ ქონდეთ საკუთრება და მიიღონ მემკვიდრეობა, უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვა რომ განკარგონ საკუთარი ქონება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე".[130]

128 ეს პროტოკოლი ხელმოსაწერად გაიხსნა 20 მარტს 1952წ, და აქვს იგივე იურიდიული ძალა რაც კონვენციის ძირითად ტექსტს.

129 რეკომენდაცია ო. ღ(99)4, პრინციპი 3(4).

130 ევროპის საბჭო, უუნარობის მოქმედების გეგმა, პარაგრაფი 3.12.3(ვიიი).

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 16 | მოწიფულირომელიცმოთავსებულიიქნამეურვეობის ქვეშ, ავტომატიურად არ კარგავს შესაძლებლობას რომ ქონდეს ქონწინების, ოჯახის დაფუძნების და ოჯახური ცხოვების პატივისცემის უფლებას. |

დასკვნა: მეურვეობის ქვეშ მყოფ პირებს კანონი ართმევს ქორწინების უფლებას, თუ ურთიერთობაშო მყოფი ერთ-ერთი პირი, სასამართლოს მიერ არის ქმედუუნაროდ ცნობილი. ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს ერთმევათ მშობლების უფლებები.

ანალიზი: ორივე საოჯასო სამართალი და სამოქალაქო კოდექსი,[131] პირდაპირადგენსრომინდივიდსრომელსაცჩამოერთვაქმედუუნარიანობა არა აქვს უფლება დაქორწინდეს. სამოქალაქო კოდექსი, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს ართმებს მშობლების უფლებებს.

ადამინის უფლებების სტანდარტი: ქმედუუნარობის კონცენცია 23 მუხლში დეტალურად ასახავს საერთაშორისო შეთანხმებას, საოჯახო სცოვრების სხვადასხვა ასპექტზე. ამ მუხლის სპეციფიკის გამო და კიდევ იმიტომ რომ ეს საკითხი სხვაგან არ არის მოწესრიგებული, სასურველია რომ იგი მოვიყვანოთ მთლიანობაში:

სახლის და ოჯახის პატივისცემა

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური და სათადარიგო ზომები რომ ამოძირკვონ დისკრიმინაცია ქმედუუნარო პირების მიმართ, ყველა საკითხში რომელიც ეხება ქორწინებას, ოჯახს, მამობას, დედობას და ურთიერთობას სხვებთან ერთად თანასწორ საფუძველზე, ამისთვის მათ უნდა უზრუნველყონ რო:

   - ⇨ ყველა ქმედუუნარო პირმა ვინც მიაღწია საქორცინო ასაკს დაქორწინდეს და დააფუძნოს ოჯახი, მომავალი მეუღლეების სრული და თავისუფალი თანხმობის საფუძველზე.
   - ⇨ ქმედუუნარო პირების უფლებები რომ თავისუფლად და პასუხისმგებლად გადაწყვიტონ რამდენი შვილი ეყოლებათ და რა შუალედებით, ხელი მიუწვდებოდეთ თავიანთი ასაკის შესაბამის ინფომაციის წყაროზე, რეპროდუქციული და საოჯახო დაგეგმის განათლება არის აღიარებული, და ასევე ხელი მიუწდებოდეთ აუცილებელ საშუალებებზე რომ მათ განახორციელონ ეს უფლებები.
   - ⇨ ქმედუუნარო პირები, ბავშვების ჩათვლით, ინარჩუნებენ ნაყოფიერებას სხვებთან თანასწორ საფუძველზე.

131 მ. 1120.

2. მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ქმედუუნარო პირების უფლებები და პასუხისმგებლობები მეურვეობასთან, სამეურვეო პირებთან, ბავშვების აყვანის და მსგავს სიტუაციებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი, სადაც ეს მცნებები არსებობს საშინაო კანონმდებლობაში; ყველა შემთხვევებში ბავშვის ინტერესები უნდა იყოს უპირველესყოვლისად გათვალისწინებული. მონაწილე მხარეებმა უნდა გაუწიონ შესაბამისი დახმარება ქმედუუნარო პირებს თავიანთ ბავშვების აღზრასტან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებში.

3. მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ რომ ქმედუუნარო ბავშვებს აქვთ თანასწორი უფლებებით საოჯახო ცხოვრებასთან მიმართებაში. ამ უფლებების რეალიზაციის გათვალისწინებით და თავიდან რომ აიცილონ დამალვა, მიტოვება, უგულებელყოფა და სეგრეგაცია უუნარო ბაწშვების, მონაწილე მხარეებმა უნდა აღმოუჩინონ დროული და გასაგები ინფორმაცია, მომსახურება და დახმარება ქმედუუნარო ბავშვებს და მათ ოჯახებს.

4. მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ რომ ბავშვი არ იქნება დაშორებული თავის მშობლებს, მათი სურვილის საწინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა როცა კომპეტენტური ხელისუფლება, სასამართლო განხილვის გზით დაადგენს, სათანადო კაკონის და პროცედურების გამოყენებით, რომ ეს დაშორება არის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. არც ერთ შემთხვევაში ბავშვი არ უნდა იყოს დაშორებული მშობელს, ბავშვის ან მშობლის ქმედუუნარობის გამო.

5. მონაწილე მხარეებმა, სადაც ოჯახს არ შეუძლია იზრუნოს ქმედუუნარო ბავშვზე, უნდა გაიღონ ყველა მცელობა რომ უზრუნველყონ ალტერნატიული ზრუნვა ოჯახის უფრო ფართო წრეში, და თუ ეს ვერ მოხერხდა მაშინ საზოგადოების წრეში ოჯახურ გარემოცვაში.

ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო კონვენციის 8 მუხლი გარანტირებს პირადი და ოჯახური ცხოვრების, სახლის და კორესპონდენციის პატივისცემას. ეს ადებს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, არ ჩაერიოს, და ასევე პოზიტიურ ვალდებულებას პატისი სცეს, პიროვნების კერძო და საოჯახო ცხოვრებას. მსგავსი ვალდებულებები და მოვალეობები არსებობს პიროვნების დაქორწინების და ოჯახის დაფუძნების უფლების პატივისცემის მიმართ, 12 მუხლი ადგენს, "დასაქორწინებელი ასაკის მამაკაცს და ქალს უფლება აქვთ დაქორწინდნენ და დააფუძვნონ ოჯახი, ნაციონალური სამართლის თანახმად რომელიც მმართველობს ამ უფლების შესრულებაზე".

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 17 | მეურვეობის ქვეშ მოთავების შემდეგ მოწიფული ავტომატიურად არ არის მოკლებული გაერთიანების უფლების შესრულებას. |



დასკვნა: საქართველოში, მეურვეობის ქვეშ მოთავსებულ პირებს აქვთ გაერთიანების უფლება.

ანალიზი: საქართველოს კანონი ქმედუუნარო პირების სოციალურ დაცვაზე[132] პირდაპირ არეგულირებს მეურვეობის ქვეშ მოთავსებულ პირების უფლებების საკითხს(და ასევე მათ მეურვეების) რომ დაარსოს ან შეუერთდნენ გაერთიანებას რომელიც მიზნად ისახავს მათი უფლებების და ინტერესების დაცვას და დებულებებს გაერთიანების წევრისათვის მომსახურეობის ან დახმარების თაობაზე.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: გაერთიანების უფლება შეიძლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყოს გონებრივი უუნარობის მქონე პირებისთვის რადგანაც ადვოკატურაში და სწორი მხარდაჭერის ჯგუფებში წევრობას შეუძლია ხელი შეუწყოს უნარების, უფლებამოსილების და აუტონომიის განვითარებას, განსაკუთრებულად ადვოკატურულ დაერთიანებებს შეიძლიათ მიანოჭონ ინდივიდებს პოლექტიური ხმა იმისთვის რომ მოხდეს ახალი პოლიტიკის და საკანონმდებლო ცვლილებების ლობირება.

ქმედუუნარობის კონვენცია ასახელებს გაერთიანების უფლებას როგორც პოლიტიკური და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის აუცილებელ ელემენტს. კონვენციის 29(ბ) მუხლი ადგენს მანდატს აძლებს მონაწილე მხარეებს რომ:

- აქტიური მხარდაჭერა გაუწიონ ინ გარემოს რომელშიც ქმედუუნარო პირს შეუძლია სრულად და ეფექტურად მონაწილეობა მიიღოს საზოგადო საქმეებში, დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, და გაამხნევონ მათი მონაწილეობა საზოგადო საქმეებში, ჩათვლით.
  - მონაწილეობაარასამთავრობოორგანიზაციებშიდაგაერთიანებებში რომლებიც დაინტერესებული არიან საზოგადო და პოლიტიკური ცხოვრებით ქვეყანაში, და პოლიტიკური პარტიესბის მოქმედებებში და ადმინისტრაციაში.
  - ქმედუუნარო პირების ორგანიზაციების ფორმირება და შეერთება რომ წარმოადგინოს ქმედუუნარო პირები საერთაშორი, ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრის დონეზე.

[132] თავი VIII, 31 მ.

სხვებთან გაერთიანების აკრძალვა, იმისათვის რომ დაისახო საერთო მიზანი ამოქმედებს ადამიან უფლებების და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის 11 მუხლს. ეს მუხლი ადგენს რომ "ყლევას აქვს უფლება და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე, და თავისუფლება გაერთიანდეს სხვებთან, ჩათვლით უფლებისა რომ ჩამოაყალიბოს ან შეურთდეს პროფესიულ კავშირებს თავისი ინტერესების დასაცავად". ამ უფლებების ნებისმიერი აკრძალვა უნდა იყოს მოცემული კანონში და აუცულებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ერთ-ერთ ჩამოთვლილ საფუძველზე, როგორიცაა ჯამრთელობის, მორალის ან სხვა პირების უფლებების და თავისუფლებების დაცვა. მიუხედავად იმისა რომ 11 მუხლი ამაზე პირდაპირ არ მიგვანიშნებს ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლომ დაადასტურა რომ "11 მუხლის მიედ დადგენილი უფლების ჩვეული ნაწილია უფლება რომ შექმნა გაერთიანებები".[133] ძნელია წარმოვიდგინოთ რამე კანონიერი მიზეზი იმისათვის რომ მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების გაერთიანების, ნგო-ების შექმნის და შეერთების უფლების შეზღუდვა იყოს "საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში".

### 2.6.5 მეურვის მოვალეობები იმის შემდეგ რაც მეურვეობა დადგინდა (ინდიკატორები 18-25)

იმისათვის რომ მოწიფული ადეკვატურად ადეკვატურად იყოს უზრუნველყოფილი, პატივისცემით და ღირსებით იქნეს მოპყრობილი, და ქონდეს უფრო დიდი საშუალება დამოუკიდებლობის და თვითდამკვიდრების, კანონმა უნდა დააკონკრეტოს მეურვეების მოვალეობები და მათი პასუხისმგებლოს მექანიზმები, ეს საკითხები განხილულია ინდიცატორებში 18-25.

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 18 | მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი არ არის შეზღუდული მიიღოს გადაწყვეტილებები იმ დარგში სადაც მას შენარჩუნებული აქვს ფუნქციონალური უნარი. |

დასკვნა: საქართველოში მუერვეობის ქნეშ პირები შეზღუდულები არიან მიიღონ გადაწყვეტილებები იმ დარგში სადაც მათ შენარჩუნელი აქვთ ფუნქციონალური შესაძლებლობები.

ანალიზი: არსებობს მარტი პლენარული მეურვეობა. მეურვეებს ანიჭებენ სრულ უფლებამოსილებას ამავდროულად მეურვეობის ქვეშ მყოფი მოწიფულები მოკლებულნო არიან ყველა უფლებას, მაშინაც კი რომა მათ გააჩნიათ ფუნქციონალური უნარი მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილებები.

133 სიდირი პოლოს ვ. საბერძნეთი, ნო. 26695/95, გადაწყვეტილება 10 ივლისი 1998, (1998) ღღ 633

ადამიანის უფლებების სტანდარტები: როგორც ადრე ავღნიშნეთ, უუნარობის უფლებების მოძრაობა იცავს ყველაზე ნაკლებად შემზღუდაველი მეურვეობის ზომების შემოღებას, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის თვით-დამკვიდრებას, და ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებს. ეს დამოკიდებულება აღნიშნულია ო. ღ(99)4 რეკომენდაციაში რომელიც ადგენს "დამცავი საშუალებების მრავალფეროვნება უნდა შეიცავდეს ისეთ ზომებს რომლებიც შეზღუდუბა ერთ სპეციფიკურ აქტზე, ხანგრძლივი უფლებამოსილების მქონე წარმომადგებლის ან წარმომადგენლების დანიშვნის საჭიროების გარეშე".[134] ო. ღ(99)4 რეკომენდაციის 3 პრინციპი ადგენს რომ კანონმდებლობა მაქსიმალური ქმედუნარიანობის შენარჩუნების საშუალებას უნდა იძლეოდეს და ღირს მილი მთლიანად ციტირება:

- საკანონმდებლო ჩარჩომ რაც შიეძლება ფართოდ უნდა აღიაროს რომ შეიძლება არსებობდეს უნარიანობის სხვადასხვა დონე და უნარიანობა შეიძლება დროთა დრო იცვლებოდეს. შესაბამისად, დამცავ საშუალებებმა არ უნდა გამოიწვიოს ქმედუნარიანობის ავტომატიურად სრული მოხსნა. მაგრამ, ქმედუნარიანობის შეზღუდვა უნდა იყოს შესაძლებელი სადაც არის ნაჩვენები რომ ეს აუცილებელია აღნიშნული ადამიანის დასაცავად.

- განსაკუთრებით, დამცავ საშუალებებმა აუტომატიურად არ უნდა ჩამოართვას აღნიშნულ პიროვნებას ხმის მიცემის, ანდერძის დაწერის უფლება, უარი თქვას ან დათანხმდეს ჩარევას ჯამრთელობის სფეროში, ან მიიღოს პიროვნული ხასიათის სხვა გადაწყვეტილებები, ნებისმიერ დროს როცა მისი უნარიანობა იძლება ამის საშუალებას.

- უნდა გათვალისწინებული იქნეს იურიდიული ზომენი რასთანაც, მაშინაც კი როცა წარმომადგენლობა აუცილებელია ამ განსაკუთრებულ სფეროში, მოწიფული შიეძლება იყოს ნებადართული, წარმომადგენლის თანხმობით, შეასრულუს სპეციფიკური მოქმედებები ან იმოქმედოს სპეციფიკურ სფეროში.

- როდესაც შესაძლებელია მოწიფული უნდა იყოს ნებადართული დადოს ყოველდღიური ნატურის იურიდიულად ეფექტურ გარიგებები.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი შეიძლება ვიპოვოთ საფრანგეთში. მეურვეობის დადგენისას, მოსამართლემ შიეძლება დაადგინოს იმ გარიგებების სია, რომელიც მოწიფულს შეუძლია, მეურვის დამოიკიდებლად აწარმოოს. იმის შეფასებაში რა დავალებების შესრულების თავისუფლება უნდა შეინარჩუნდეს ინდივიდს, მომართლემ უნდა მიიღოს კონსულტაცია სამედიცინო ექსპერტისაგან.[135]

[134] რეკომენდაცია ო. ღ(99)4, პრინციპი 2(5).

[135] საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი წიგნი 1, სათაური X, თავი II, მუხლი 420, ვრცელდება მეურვეობის მყოფ პირებზე სათაური XI, თავი III, მუხლი 501

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 19 | მეურვეობის ქვეშ მყოფი მოწიფული უნდა კონსულტირებული იყოს ძირითად გადაწყვეტილებებზე და მისი სურვილები უნდა იყოს მიდევნილი როცა ეს შესაძლებელია. |

დასკვნა: მეურვეები არ არიან ვალდებული მოახდინონ კონსულტაცია მოწიფულთან სანამ მიიღებენ რამე გადაწყვეტილებას.

ანალიზი: როცა მოწიფული ქმედუუნაროდ არის აღიარებული, იგი ხდება მთლიანად იზოლირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან. მიუხედავად იმისა რომ მეურვეები ვალდებულნი არიან რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები მართებულად, და პატივისცემით მოეკიდონ სასამართლოს ინსტრუქციებს, ისინი არ არიან ვალდებულნი ანგარიში გაუწიონ მოწიფულის სურვილებს. არ არსებობს ისეთი იურიდიული დებულება რომელიც ავალდებულებს მეურვეს რომ მოიპოვოს მოწიფულის თანხმობა სანამ მიიღებს რამე გადაწ ვეტილებას და არც ისეთი დებულება რომელიც ავალდებულებს მეურვეს რომ შეატყობინოს მოწიფულს უკვე მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: კანონმა უნდა უზრუნველყოს რომ მოწიფული რომელიც მეურვეობის ქვეშ იმყოფება არის კონსულტირებული იმ გადაწყვეტილებებზე რომელიც ზეგავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე. კანონიერი ვალდებულება რომ მოხდეს კონსულტაცია არის ცენტრალური ადგილი საიდანაც უნდა შეფასდეს როგორ ასრულებს მეურვე თავის მოვალეობებს და ასევე სასამართლოს მიერ განხორციელებად სტანდარტებს.[136]

მეშვეობით. არაოფიციალური თარგმანი მოცოდებულია ლეგიფრანსის მიერ, საფრანგეთის მთავრობის სამსახური. ხელმისაწვდომი: **წწწ.ლეგიფრანცე.გოუვ.ფრ**, ნახული 2006 წლის 2 აგვისტოს. სხვა მიდგომა რომ წახალისდეს მოწიფულის მონაწილეობა შეიძლება იქნეს ნაპოვნი საერთო მეურვეობის აქთში რომელიც იძლევა ტჩევა იმაზე თუ როგორ დავაფუძვნოთ ეს პრინციპი კანონმდებლობაში. სექციაში სახელწოდებით "მეურვეების მოვალეობები" სამოდელო კანონმდებლობა ასგენს:

მეურვემ უნდა განახორციელოს თავის უფლებამოსილება მხოლოდ როგორც მოითხოვს სამეურვეო პირის შეზღუდვები და რაც შეიძლება მეტ მოდემდე, უნდა წაახალისოს სამეურვეო პირი რომ მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებებში, იმოქმედოს სამეურვეო პისახელით და განავითაროს ან შეინარჩუნოს უნარიანობა რომ მართოს სამეურვეო პირის პირადი საქმმები. გადაწყერილებების მეღების დროს, უნდა გაითვალისწინოს გამოთქმული სურვილები და სამეურვეო პირის პირადი ფასეულობები იმ დონემდე რომელიცაა ცნობილი მეურვისთვის.

იხილე საერთო მეურვეობის და დამცავი პროცედურების აქტი (1997) სუპრა 98, მუხლი 3 პარაგრაფი 313 (ა).

136 მაგალითად, ფინეთის კანონმდებლობა ასრულებს ამ პრინციპს, იმის მეშვეობით რომ უყენებს მოთხოვნას მეურვეს რომ მან იკითხოს ინდივიდის

როგორც უკვე ავღნიშნეთ უუნარობის კონვენცია ნათლად ადგენს რომ ზომებმა რომელიც ეხება ქმედუნარიანობის შესრულებას უნდა "პატივი სცენ პიროვნების უფლებებს, სურვილებს და არჩევანებს".[137] მსგავსად ო. ღ(99)4 რეკომენდაცია აკონკრეტებს რომ გადაწყვეტილების მიღების დროს "მოწიფულის წარსული და ახლანდელი სურვულები და გრძნობები უნდა იყოს დადგინდეს რამდენათაც შესაძლებელია, უნდა გათვალისწინებული იქნეს და სათანადო პატივისცემიდ მოპყრობილი".[138] ეს პრინციპი "აგრეთვე გულისხმობს რომ პიროვნებამ რომელიც წარმოადგენს და ეხმარება ქმედუუნარო მოწიფულს, უნდა მიაწოდოს მას ადეკვატური ინფორმაცია, როცა ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, განსაკუთრებით როცა ეს ეხება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს რომელიც ზეგავლენას ახდენს მოწიფულზე, იმისათვის რომ მან გამოხატოს თავისი შეხედულება".[139]

რეკომენდაციის 2 პრინციპი უფრო შორს მიდის და რეკომენდირებს რომ იმის მცდელობაში რომ მოიძებნოს საუკეთელო გადაქყვეტილება ინდივიდის გარემოების გათვალისწინებით "უნდა გათვალისწინელუ იქნეს იმ ზომების ჩართვა რომლების დროსაც, დანიშნული პიროვნება მოქმედებს მოცემულ მოწიფულთან ერთობლივად და იმ ზომებს რომელიც მოიცაცს ერთზე მეტი წარმომადგენლის დანიშვნას".[140]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 20 | მეურვეების უფლებამოსილებების და მოვალეობების საზღვარი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული კანონით და შეზღუდული მხოლოდ იმ სფეროებზე სადაც მეურვეობის ქმეშ მყოფ მოწიფულს დახმარება ესაჭიროება. |

დასკვნა: საქართველოს კანონმდებლობა თითქმის არ განსაზღვრავს მეურვეების უფლებამოსილებებს და მოველეობებს.

ანალიზი: მეურვეების გარკვეული უფლებამოსილებები და მოვალეობები შეიძლება იქნეს ნაპოვნი კანონმდებლობაში. მაგალითად მეურვის უფლება რომ მართოს ქონება, დადოს კონტრაქტი მოწიფულის სასარგებლოდ,[141] და წარმოადგინოს მოწიფული მესამე პირების წინაშე

აზრი იმ გადაწყვეტილებებზე რომლების არიან მეურვის მოვალეობის ჩარჩოში. იხილე ფინეთის მეურვეობის სამსახურის აქთი 442/99, სექცია 43(1) წოდებული სამეურვეო პირის მოსმენა. რაოფიციალური თარგმანი მოწოდებულია IX მიერ, ფინეთის სამთავრობო სამსახუხი. ხელმისაწვდომი: ატ ᲬᲬᲬ.ფინლეხ.ფი/ენ/, ნახული 18 ივლისი 2006.

137 კონვენცია ქმედუუნარო პირების უფლებებზე,მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 6 ეკემბერი 20066 დეკემბერი 2006, რეფ 61/611, 12(4) მ.

138 პრინციპი 9(1).

139 პრინციპი 9(3).

140 პრინციპი 2(6).

141 კანონი მეურვეობის შესახებ, მუხლები 1293 და 1294.

და ასევე სასამართლოში.[142] მეურვეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება დადონ მოწიფულის სახელით, ისეთი ხელშეკრულებები რომელიც სხვა პირების სასარგებლოდ არის.[143] ამ დებულების მიზანია რომ შეეცადოს შეამციროს ქონების ცუდათ მართვის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს მიმართულება იმ ხელისუფლებისთვის რომელიც ადგენს იურიდიულ უნარიანობას რომ განსაღვრული იქნეს ინდივიდს მეურვის მოვალეობების საზღვრები, მოცემული მოწიფულის ფუნქციონალური უნარიანობის გათვალისწინებით. ო. ღ(99)4 რეკომენდაცია ურჩევს სახელმწიფოებს რომ შემოიყონ ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოები რომლებიც იქნება სამკარისად მოქნილი რომ უპასუხოს სხვადასხვა სიტუაციებს; "დამცავი ზომები და სხვა კანონიერი საშუალებები რომლებიც ხელმისაწვდომია ქმედუუნარო პირების, პიროვნული და ეკონომიკური ინტერესების დასაცავად, უნდა იყოს საკმარისი, თავის ფარგლებში და მოქნილობაში რომ შესაფერისი იურიული პასუფის საშუალება მისცეს სხვადასხვა ქმედუუნაროსბის დონეს და სხვადასხვა სიტუაციებს".[144] რეკომენდაცია შემდგომ იძლევა რჩევას რომ:

> "საკანონმდებლო ჩარჩომ რაც შეიძლება ფართოდ უნდა სცნოს რომ შეიძლება არსებობდეს ქმედუუნარობის სხვადასხვა დონე და ქმედუუნარობა შეიძლება დროთა დრო იცვლებოდეს. შესაბამისად, დამცავ საშუალებებმა ავტომატიურად არ უნდა გამოიწვიოს ქმედუნარიანობის მთლიანი ჩამორთმევა. მაგრამ, ქმედუნარიანობის შეზღუდვა უნდა იყოს შესაძლებელი სადაც იქნება ნაჩვენები რომ ეს აუცილებელია მოწიფულის დასაცავად."[145]

უუნარობის კონვენცია უზრუნველყოფს რომ ყველა ზომები რომელიც უკავშირდება ქმედუნარიანობის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამის და ეფექტურ დამცავ საშუალებებს რომ უზრუნველყოფილი იქნეს ზომები რომელიც დაკავშირებულია ქმედუნარიანობის განხორციელებასთან: "არის პროპორციული და მორგებული პიროვნების გარემოებებზე, შემოღებულია რაც შეიძლება უმოკლესი დროის პერიოდით და ექვემდებარება რეგულალურ მიმოხილვას კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოვებელი უფლებამოსილი პირის, ორგანოს ან სასამართლოს მიერ. დამცავი საშუალებები უნდა იყოს იმ დონის რომელზეც ეს ზომები გავლენას ახდენს პიროვნების უფლებებზე და ინტერესებზე".[146]

mental disability advocacy center

142 იგივე, 1290 მ.
143 იგივე, 1296 მ.
144 პრინციპი 2(1).
145 პრინციპი 3(1).
146 კონვენცია უუნარო პირების უფლებებზე, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 6 ეკემბერი 20066 დეკემბერი 2006, რეფ /61/611, 12(4) მ.

ამ დამოკიდებულების სამაგალითო გამოყენება შეიძლება ვიპოვით ფინეთის მეურვეობის აქტში რომელიც აკონკრეტებს რომ: მეურვის დავალება შეიძლება იყოს შეზღუდული რომ ფარავსეს მხოლოდ მოცემულ გარიგება, საქმეს ან საკუთრებას.[147] ერთი საქმის მისართებაშიც კი, ეს კანონი დამატებით იცავს მოწიფულის ინტერესებს, იმის მეშვეობით რომ უკრძალავს მეურვეებს ჩამოთვლილი მოქმედების შესრულებას საკუთრების გადაცემის და გაყიდვის,[148] ქორწინებაზე და შვილათ აყვანაზე, ანდერძის შედგენასა ან უკან გამოწვევის ჩათვლით, სასამართლოს სპეციალური ნებართვის გარეშე.[149]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 21 | მეურვე ვალდებულია ხელი შეუწყოს ინტერესებს, კეთილდღეობას და დამოუკიდებლობას იმ მოწიფულის რომელიც მისი მეურვეობის ქვეშ იმყოფება იმის მეშვეობით რომ მოძებნის ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივებს ცხოვრების მოწესრიგებაში და მისცემს მოწიფულს მცდელობის საშუალებას რომ იცხოვროს საზოგადოებაში. |

დასკვნა: მეურვეები არ არიან ვალდებულნი რომ ხელი შეუწყონ მოწიფულის კეთილდღეობას და დამოუკიდებლობას ან ეძებონ ნაკლებად შემზღუდველი ცხოვრების განკარგულებები.

ანალიზი: მეურვეები ვალდებულნი არიან რომ უზრუნველყონ მეურვეობის ქვეშ მყოფი მოწიფულებისთის სათანადო საცხოვრებელი პირობები, მოუარონ (რაც მოიცავს დებულებას რეგულალური სამედიცინო მრუნალობაზე) და დაიცვან მათი უფლებები და ინტერესები.[150] უფრო ძირითადათ, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა, სოციალური ჩართვის და რეაბილიტაციაზე, მეურვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულებზე არის ჩადებული კანონმდებლობაში,[151] ეს პოლიტიკა არ არის გადმოტანილი როგორც ასეთი მეურვეების მოვალეობებზე.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ეს ინდიკატორი ამოწმებს ურთიერთობას მეორვეობის ქვეშ ყოფნისა და დაწესებულებაში ცხოვრების შორის. უფლება იცხოვრო საზოგადოებაში არის ჩადებული საერთაშორისო სამართალში, ძირითადათ უუნარობის კონვენციის 19 მუხლში და იკითხება შემდეგნაირად:

[147] ფინეთის მეურვეობის სერვისის აქტი, 442/99, პარაგრაფი 8(3).
[148] იგივე, პარაგრაფი 34.
[149] იგივე, პარაგრაფი 29.
[150] კანონი მეურვეობის შესახებ, 1289 მ.
[151] იხილე კანონი უუნარო პირების სოციალურ დაცვაზე, დანართი II.

დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებაში ჩართვა

- ამ კონვენციი მონაწილე ზხარეები აღიარებენ ყველა ქმედუუნარო პირის თანასწორ უფლებას რომ იცხოვროს საზოგადოებაში, სხვებთან თანასწორი არჩევანების შესაძლებლობით, და უნდა მიიღონ ეფექტური და სათანადო ზომები, იმისთვის რომ ხელი შუეწყონ, რომ ქმედუუნარო პირებმა სრულად ისარგებლონ ამ უფლებით და მათი სრულად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში, და ასევე უზრუნველყონ რომ:
  - ქმედუუნარო პირებს, აქვთ შესაძლებლობა ამოირჩიონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და სად და ვისთან იცხოვრებენ, სხვებთან თანასწორ საფუძველზე და რომ არ არიან ვალდებულნი იცხოვრონ განსაკუთრებულ საცხოვრებელ დაწესებულებაში.
  - უუნარო ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა საბინაო, სარეზიდენტო და სხცა საზოგადო მხარდაჭერის მომსახურებასთან, პერსონალური დახმარების ჩათვლით რომელიც აუცილებელია მხარდაჭერილ ცხოვრებისთვის და საზოგადოებაში ჩართვისთვის, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოებიდან მათი იზოლაცია და სეგრეგაცია.
  - საზოგადო სერვისები და მოწყობილობები საერთო მოსახლეობისთვის, არის ხელმისაწვდომი ქმედუუნარო პირებისთვის, თანასწორობის საფუძველზე და პასუხობს მათ მოთხოვნებს.

2006 წლის, ევრიპის საბჭოს უუნარობის სამოქმედო გეგმა ადგნეს ევროპის მაშტაბის პოლიტიკურ ჩარჩოს ქმედუუნარობის საკითხებზე შემდეგი ათწლეულისთვის, და მოუწოდებს სახელმწოფოებს რომ "უზრუნველყონ საზობადოებაზე დაფუძვნებული მომსახურების დებულებები და ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოდელები, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებაზე-დაფუძნებულიდან საზოგადოებაში ცხოვრებაძე გადასვლის".[152] მიუხედავათ იმისა რომ საცხოვრებელი მოწყობის ზომები არ არის მოყვანილი ო. ღ(99)4 რეკომენდაციაში, პროპორციონალურობის პრინციპი გვკარნახობს რომ, ყველა გადაწყვეტილებაში მიმართულება უნდა იყოს აღებული ისეთი კურსი, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეზღუდავს მოწიფულის უფლებებს და თავისუფლებებს და ამავდროულად უზრუნველყოფს ადეკვატურ დაცვას.[153]

[152] ევროპის საბჭოს უუნარობის სამოქმედო გეგმა 2006, პარაგრაფი 3.8.3(ვი).
[153] პრინციპი 6(2).

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 22 | მეურვემ ისე უნდა განკარგოს მოწიფულის ქონება როგორც მეორვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულისთვის ყველაზე მომგებიანი იქნება |

დასკვნა: არ არსებობს სპეციფიკური რეგულირება მოურვეობის ქვეშ მყოფ, მოწიფულის ქონების განკარგვის შესახებ.

ანალიზი: მეურვეობის კანონმდებლობა არ აკონკრეტებს მეურვის მოვალეობას როგორც მოწიფულის საკუთრების გამკარგველის. არ არსებობს ისეთი დებულება რომელიც პირდაპირ ადგენს რომ მეურვის მიერ მიღებული ყველა ზომები, რომელიც საკუთრების მართვასთან არის დაკავშირებული უნდა იყოს მომგებიანი მოწიფულისთვის. მიუხედავათ ამისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ მეურვეები არ არიან უფლემოსილი რომ მოწიფულის სახელით მოაწერონ ხელი ისეთ გარიგებას რომელიც აძლებს მოგებას სხვა პიროვნებას.[154] არსებობს დამატებითი შეზღუდვები მეურვეზე, ისინი ეხება საკუთრების მართვას, და რომლებიც მოითხოვს მეურვეების სააგენტოს თანხმობას.[155]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ამ სტანდარტის მნიშვლენობა ორმაგია: მოწიფულის ან სხვა დაინტერესებული პირის შესაძლებლობა შეიტანოს საჩივარი მეურვის წინააღმდეგ თუ მეურვე არასწორად გამოიყენებს მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ქონებას: და როგორ შევამოწმოთ მეურვის ქმედებები, დადგენილი მკაფიო იურიდიული რეგულირებებით. სანამ ო. ღ(99)4 რეკონედაცია მხოლოდ ცოტაოდენ ეხება მეურვის როლს როგორც მეურვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულის ფინანსები განმკარგველს, ის ადგენს რომ "ქმედუუნარო მოწიფულის საკუთრება უნდა იყოს განკარგული და გამოყენებული აღნიშნულ პირისთვის მომგებიანად და მისი კეთილდღეობის დასაცავად".[156] შემდეგ მე-20 პრინციპი უზრუნველყოფს რომ მეურვე უნდა აგებდეს ფასუხს "ყველა დანაკარგზე და დაზიანებაზე რაც მათ მიაყენეს ქმედუუნარო მოწიფულს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას".[157] ეს პრინციპი ადგენს რომ მეურვე უნდა აგებდეს პასუხს კანონის წინაშე თუ იგი ცუდათ მართავს ან უკანონოდ მიითვისებს ფინანსებს ან საკუთრებას იმ მოწიფულის რომელიც მის მეურვეობის ქვეშ იმყოფება, საკამათოა მაგრამ ეს შეიძლება ეხებოდეს ასევე იმ მოქმედებებს ან ხარჯებს რომლების პირდაპირ მოწიფულის საკეთილდღეოდ არ იქნა გამოყენებული. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციამ მიიღო ეს დამოკიდებულება და რეკომენდირება გაუწია

154 კანონი მეურვეობის შესახებ, 1294 მ.
155 იგივე.
156 პრინციპი 8(3).
157 პრინციპი 20(1).

იმას რომ "ზუსტად განისაზღვრული ჯარიმენი თუ მეურვეები ვერ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, გაამაგრებს კანონმდებლობას".[158]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 23 | მეურვე ვალდებულია პერიოდულად. მოინახულოს და ისაუბროს მოწიფულთან |

დასკვნა: საქართველოს კანონმდებლობა არ აკონკრეტებს რომ მეურვემ უნდა მოინახულოს და პერიოდულად ისაუბროს მოწიფულთან.

ანალიზი: კანონი დუმს მეურვის ვალდებულობაზე მოინახულოს და ქონდეს პერიოდული კონტაქტი მოწიფულთან. იმის შემდგომ რაც მოწიფული მოთავსდება მეურვეობის ქვეშ, მეურვე არ არის ვალდებული იცხოვროს იმავე ადგილას სადაც მოწიფული და ასევე მოინახულოს ან ისაუბროს მოწიფულთან.[159]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ო. ღ(99)4 რეკომენდაციის კუთხისქვა და ძირითადათ პიროვნებაზე-კონცენტრირებული დამცავი სისტემების: არის საჭიროება რომ უზრუნველყოფილი იქნეს მეურვეობის ქვეშ მოთავსებული მოწიფული დარჩეს ცენტრალურ ფიგურად გადაწყვეტილების-მიღების პროცესის დროს. ეს მოიცავს ეფექტურ კონსულტაციას, რომ მოწიფულის სურვილები უნდა სათანადოთ იქნეს განხილული როდესაც ეს შესაძლებელია. ო. ღ(99)4 რეკომენდაცია აგრეთვე უზრუნველყოფს რომ წარმომადგენელმა ან მეურვემ უნდა მიაწოდოს მოწიფულს საკმარისი ინფორმაცია რომელიც ეხება ძირითად გადაწყვეტილებებს, იმ მიზნით რომ მოწიფულს ქონდეს საშუალება გამოხატოს თავისი აზრი.[160] მეორე მნიშვნელოვანი სარგებელი იმის რომ მეურვეს მოეთხოვოს მოინახულოს ინდივიდი რომელსაც ისინი წარადგენენ, არის ის რომ მეურვეებს ექნებათ საშუალება სრულად გაეცნონ ინდივიდის საცხოვერებლ სიტუაციას და გაიგონ როგორი ზრუნვა და მომსახურება არის მის განკარგულებაში. როგორც საუკეთესო მაგალითს, ამერიკის ერთიანი მეურვეობის და დამცავი პროცედურების აქტი უზრუნველყოფს რომ მეურვე უნდა "გახდეს ან დარჩეს პიროვნულ ნაცნობობაში იმ პირთან ვიზეც იგი ზრუნავს და შეინარჩუნოს საკმარისი კონტაქტი მასთან იმისთვის რომ იცოდეს მისი უნარები, შეზღუდვები, საჭიროებები, შესაძლებლობები და ფიზიკური და ფსიქიკური გამრთელობის მდგომარეობა".[161]

158 მჯო – ს რესურსების წიგნი გონებრივ ჯამრთელობაზე,ადამიანის უფლებებზე და კანონმდებლობაზე: შეწყვიტე გამორიცხვა, გაბედე რომ იზრუნო 43 გ.
159 კანონი მეურვეობის შესახებ 1291 მ, პუნქტი 2.
160 პრინციპი 9.
161 სექცია 313(ბ)(ი).

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 24 | მეურვეს გადაწყვეტილებები პერიოდულად განხილული უნდა იქნეს ობიექტური ორგანოს მიერ და მეურვე უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა გადაწყვეტილებაზე. |

დასკვნა: მეურვე პასუხისმგებელია ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მეურვეობის ორგანო პასუხისმგებელი არიან მეურვეების მოქმედებების ზედამხედველობაზე, მაგრამ რა მაშტაბით და თუ ეს მოიცავს მათი გადაწყვეტილებების პერიოდულ შემოწმებას არ არის დადგენილი კანონმდებლობით.

ანალიზი: მეურვეები თეორიულად არიან პასუხისმგებელი თავიანთ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაზე,[162] რადგანაც მათ მიერ შესრულებული მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ, მოწიფულის ჩათვლით.[163] ფორმალური ზედამხედველობა მეურვეების მოქმედებებზე ევალება მეურვეობის და მზრუნველობის სახელმწიფო ორგანო.[164] მეურვეები კანონის წინაშე პასუხს აგებენ ნებისმიერ ცუდ მოპყრობაზე, დაუდევრობაზე ან სხვა ტიპის საზიანო ქმედებაზე რომელმაც მოიტანა ზიანი მოწიფულისთვის.[165]

მიუხედავად იმისა რომ სამეურვეო სააგენტო ზედამხედველობს მეურვის მოქმედებებს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს რომ თვით სააგენთო ნიშნავს მეურვეს, და შესაბამისად კითხვა ჩნდება შეუძლია თუ არა ამ სააგენტოს იყოს მიუკერძოვებელი თავის განმხილველი ფუნქციების დროს.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: რეკომენდაცია ო. ლ(99)4 აკონკრეტებს რომ "უნდა არსებობდეს ადეკვატური კონტროლი, დამცავი ზომების ფუნქციონირებაზე და წარმომადგენლების მოქმედებებზე და გადაწყვეტილებებზე".[166] რეკომენდაცია უფრო შორს მიდის და ამატებს რომ მეურვე უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის მოქმედებებზე და ნებისმიერ დანაკარგზე და ზარალზე რომელიც მათ მიაყენეს, მათ მზრუნველობის ქვეშ მყოფ მოწიფულის, განსაკუთრებით რომ "კანონები საზიანო ქმედებების, დაუდევრობის, ცუდი მოპყრობისთვის პასუხისმგებლობაზე უნდა იყოს გამოყენებული წარმომადგენლებზე და სხვებზე ვინც ჩართულია ქმედუუნარო მოწიფულების საქმეებში".[167] იმისათვის რომ მნიშვნელოვნად შესრულდეს ეს ზომა, განხილვის მექანიზმებმა

162 საქართველოს კანონი მეურვეობის შესახებ 1300 მ.
163 იხილე, 1298 მ.
164 იხილე, 1284 მ.
165 მუხლები 1300 და 1298.
166 პრინციპი 16.
167 პრინციპი 20.

უნდა დაადგინოს მეურვეების მოვალეობები (როგორც უკვე განვიხილეთ მე-20 ინდიკატორში) და ასევე უზრუნველყოს ხელმისაწვდომი და რეალური პროცედურული გარანტიები.

| ინდიკატორი 25 | გასაჩივრების პროცედურის არსებობა რომელიც შეეხება მეურვის ქმედებებს და დაუდევრობებს. |
|---|---|

დასკვნა: არ არსებობს გასაჩივრების პროცედურა რომელიც შეეხება მეურვის ქმედებებს და დაუდევრობებს.

ანალიზი: საქართველოს მეურვეობის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს გასაჩივრების პროცედურა რომელმაც შეიძლება შეეხოს მეურვის მოქმედებების და დაუდოვრობების განხილვას. მეურვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულს აქვს თეორიული საშუალება რომ გაასაჩივროს მეურვის გადაწყვეტილება სასამართლოში.[168]

მოწიფულს, რომელიც იქნა ქმედუუნაროდ აღიარებული, აქვს უფლება მოსთხოვოს მეურვეობის ორგანოს დანიშნოს, შეცვალოს ან მოხსნას მეურვე.[169] მეურვეობის ორგანო ვალდებულია შეამოწმოს მეურვეების მოქმედებები და მოვაობების შესრულება. როგორც ჩანს მოწიფულს არა აქვს საშუალება უჩივლოს ორგანოს თუ ის სათანადოდ ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ქმედუუნაროდ აღიარება და მეურვეობის ქვეშ მოთავსება ხელს არ უნდა უშლიდეს მოწიფულს რომ ქონდეს საშუალება მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს იმისათვის რომ მოითხოვოს მეურვის გადაწყვეტილებების დამოუკიდებელი განხილვა. მაგრამ იმისთვის რომ ამ ხელმისაწვდომობას ქონდეს რამე ძალა, სასამართლო ან ორგანო უნდა ფლობდეს უფლებას შეცვალოს ან გამოასწოროს მეურვის გადაწყვეტილება. სანამ ო. დ(99)4 რეკომენდაცია ადგენს რომ მოწიფულს რომელიც ქმედუუნაროდ იქნა აღიარებული "უნდა შეეძლოს რომ მოითხოვოს განხილვა" ეს დებულება, როგორც ჩანს ეხება თვითონ მეურვეობის საჭიროების განხილვას. მდაც-ი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას რომ მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს უნდა ქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს აგრეთვე მეურვის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და შესრულებული მოქმედებების განხილვა. მაშასადამე, საკანონმდებლო მაგალითი რომელიც შეხვდება ამ ინდიკატორის მოთხოვნებს, შეიძლება იქნეს ნაპოვნი გაერთიანებული შტატების ტიპიური შტატის კანონმდებლობაში, რომელიც ადგენს რომ მოწიფულმა



[168] საქართველოს კანონი მეურვეობის შესახებ, მუხლები 1298 და 1300.
[169] მუხლი 1305.

შეიძლება თხოვნით მიმართოს სასამართლოს რომ განიხის და შეცვალოს მეურვის გადაწყვეტილება ან შეცვალოს სამეურვეო გეგმა ან მეურვის მოვალეობები, მოხნას მეურვე და დანიშნოს მისი მემკვიდრე ან დაასრულოს მეურვეობა.[170]

### 2.6.6 მეურვეობის აუცილებლობა და ალტერნატივები (ინდიკატორები 26-29)

ინდიკატორების ბოლო ჯგუფი იკვლევს მეურვეობის იურიდიულ ალტერნატივებს.მისი აბეზარი და პიროვნული ბუნების გამო, მეურვეობა უნდა იყოს გამოყენებული როგორც უკანასკნელი საშუალება. კანონმდებლობა რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს, ჩვეულებრივად მოიცავს ალტერნატივებს რომელიც უზრუნველყოფს ქსიქიკურად შეზღუდული ინდივიდების დაცვას მაგრამ არის ნაკლებად აბეზარი ბუნების და ინარჩუნებს მოწიფულის უფლებას განახორციელოს გადაწყვეტილებების-მიღება რაც შეიძლება მეტი განფენილობით. ეს ბოლო ინდიკატორების ჯგუფი ასახავს იმის საჭიროებას რომ მეურვეობის ჩარჩოებმა ასახონ უნარიანობის დინამიური ნატურა, დროის განმავლობაში. მეურვეობა უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ მანამდე და მხოლოდ იმ დონეზე რომელიც აუცილებელია რომ შესრულდეს მოწყველადი პირების დაცვა. მაშასადამე, აუცილებელია რომ მეურვეობის ზომები იყოს მიმოხილული პერიოდულად და მოდიფიცირებული ან შეწყვეტილი თუ ამას პირობები მოითხოვს.

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 26 | ხელმისაწვდომია მეურვეობაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივები და ცხადათ ამოწურული სანამ პირი მოთავსებულია მეურვეობის ქვეშ. |

დასკვნა: საქართველოში არ არსებობს მეურვეობაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერბატივები. არ არსებობს მოთხოვნა რომ ამოწურული უნდა იქნეს სხვა დამცავი საშუალებები სანამ პირი მოთავსებული იქნება მეურვეების ქვეშ.

ანალიზი: საქართველოს კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს სხვა დამცავ საშუალებებს პლენარული მეურვეობის გარდა ქმედუუნარო პირებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება გადაცყვეტილებების მიღებაში. მხარდამჭერი და დამხმარე გადაცყვეტილებებისმიღება როგორც ალტერნატივა არ არის აღიარებული და არც სხვა მექანიზმები არსებობს როგოროც ისეთი როგორიცაა ადვოკატის ძალები ან მოწინავე დირექტივები.

[170] იხილე, მაგალითად ალასკას სტატუტი §13.26.125 (ბენდერი 2005).

ადამიანის უფლებების სტანდარტები: უუნარობის კონვენცია უზრუნველყოფს რომ: "მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისსთვის რომ უზრუნველყონ ქმედუუნარო პირების დაშვება დახმარებამდე რომელიც მათ სჭირდებათ, თავიანთი უნარიანობის განსახორციელებლად".[171] ეს პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს პარადიგმის გადაადგილებაზე, მეურვეების მოდელიდან სხვა სისტემებისკენ რომელიც ამხენევებს დამხმარე გადაცყვეტილების-მიღებას. ამ იდეაში ნაგულისხმებია რომ არსებობს და გამოიყენება მეურვეობის ალტერნატივები.

რეკომენდაცია ო. ღ(99)4 ადგენს 5 პრინციპში რომ დამცავი ზომები ისეთი როგორც ქმედუუნაროდ აღიარება და მეურვეობა უნდა ეფუძვნებოდეს მინიმალური აუცილებელი ჩარევის ან ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივის პრინციპს. რეცომენდაცია მიგვანიშნებს რომ მეურვეობა არ უნდა იყოს დადგენილი პირისთვის თუ არა სხვა ნაკლებად ფორმალური საშუალებები უკვე იქნა ამოწურული. კანადის მოდელი უზრუნველყოფს კანონმდებლობის ინსტრუქციულ მაგალითს, რომელიც ხვდება ამ ინდიკატორის სტანდარტებს. მონიტობის მოწყვლადი პირების აქტი, რომლებიც ცხოვრობენ ფსიქიკური უუნარობით, აკონკტერებს რომ შემცვლელი გადაწყვეტილებების მიმღები არ უნდა იყოს დანიშნული თუ არ დადგინდება, რომ ინდივიდს აქვს მხარდაჭერის ქსელი და "გონივრული ძალისხმესხმევა იქნა გაღებული, რომელიც მოიცავს მხარდაჭერის ქსელს".[172] შემდგომ თუ პირველი კრიტერია არ არის დაკმაყოფილებული, სასამართლოს შეუძლია ისეთი მცდელობის მანდატირება რომელიც მოიცავს მხარდაჭერი ქსელს როგორც შემცვლელი გადაცყვეტილებების მიმღების ალტერნატივეს.[173] მსგავსად ფინეთში, მეურვე შეიძლება იქნეს დანიშნული მოწიფულის იურიდიული კონპეტენციის შეზღუდვის გარეშე, უნარიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები არის ცალკეული პროცედურა. სასამართლოს მხოლოდ შეუძლია ინდივიდი ქმედუუნაროდ

171 კონვენცია ქმედუუნარო პირების უფლებებზე,მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 6 ეკემბერი 20066 დეკემბერი 2006, რეფ /61/611, 12(3) მ.

172 ფსიქიკური ქმედუუნარობით მცხოვრები მოწყველადი პირების აქტი, ღ. თავი. 29, პარაგრაფები 49(ა)-(ბ) (1993).

173 ფსიქიკური ქმედუუნარობით მცხოვრები მოწყველადი პირების აქტი, ღ. თავი. 29, პარაგრაფ 50(2). ამ მიდგომას აგრეთვე მისდევენ სხვა კანადის იურისდიქციებში. მაგალითად ონტარიოში ექიმს შეუძლია დანიშნოს საზოგადოებრივი მკურნალობის გეგმა როგორც პსიქიატრიული ჰოსპიტალიზაციის ალტერნატივა, ასევე სასამართლოს შეუძლია არ დანიშნოს მეურვე ინდივიდის საკუთრებაზე გარდა თუ არ არსებობს ალტერნატიური კურსი "ნაკლებად შემზღუდავი პიროვნების გადაწყვეტილებების მიღების უფლებებზე". (ფსიქიური ჯამრთელობის აქტი, ს. ო. თავი მ.7. პარაგრაფები 33.1 და 33.7 (1991); შემცვლელი გადაწყვეტილებების აქტი, ს. ო. თავი 30, პარაგრაფი 22(3).) მსგავსად იუკონში სასამართლოს შუეძლია არ დანიშნოს მეურვე ტუკი "ხელმისაწვდომი დახმარების და მხარდაჭერის ფორმები მეურვეობაზე ნაკლებად მაბეზარი იქნა ნაცადი ან ფრთხილად განხილული". მოწიფულის დაცვის და გადაწყვეტილების მიღების აქტი. თავი 21, განრიგი ა, პარაგრაფი 32(1) (იუკონი).

აღიაროს იმის შემდეგ რაც დაადგენს რომ ჩამოთვილი ალტერნატივები არ არის საკმარისი რომ დაიცვას მოწიფულის ინტერესები.[174]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 27 | მეურვეობები არის მორგებული დაინტერესებული პირის ინდივიდუალ მოთხოვნებზე და მომართავს უნარიანობის ცვალებად დონეს. |

დასკვნა: მეურვეობები არ არის მორგებული დაინტერესებული პირის ინდივიდუალ მოთხოვნებს და არ მიმართავს უნარიანობის ცვალებად დონეს.

ანალიზი: პლენარული მეურველობა, რომელიც საქართველოში არის ერთადერთი მექანიზმი ქმედუუნარო პირებისთვის, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება გადაწყვეტილების მიღებაში, იღებს ბლაგვ, ერგვარ დამოკიდებულებას, და არ ტოვებს ადგილს ინდივიდუალურად-მორგებულ გადაწყვეტილებებისთვის. თუ ინდივიდის შესუსტებული უნარიანობა არის ერთ ერთი სამი დონის, ორთი უნარიანობის აღნიშნული დონიდან, ისინი არიან მიჩნეული როგორც ინდივიდები შეზღუდული უნარიანობით და ექვემდებარებიან სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებას, იმასთან დაკავშირებით იქნებიან თუ არა ისინი აღიარებული ქმედუუნაროდ.

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ო. ღ(99)4 რეკომენდაციის 6 პრინციპი პროპორციონალურობაზე, გვთავაზობს რომ სადაც მეურვეობა მიჩნეულია რომ არის აუცილებელი, როდესაც ყველა სხვა ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივები იქნა ამოწურული, ის უნდა იყოს შემოღებული იმ მანერით რომელიც იქნება მოწიფულის ფუნქციონალური უნარიანოს მიმართ პროპორციული და მორგებული ისე რომ შეხვდეს მოწიფულის სპეციფიკურ მოთხოვნებს. თავის არსში, მეურვეობამ უნდა შეზღუდოს მოქმედების უნარი, პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ იმ დონემდე რომელიც აუცილებელია ადეკვატური დაცვის უზრუნველსაყოფად.[175] საერთაშორისოდ ეს სტანდარტი არის ინდორსირებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გონებრივი ჯამრთელობის და კანონმდებლობის სახემძღვანელოში, რომელიც ადგენს რომ "ნებისმიერი[სამეურვეო] წესრიგი უნდა იყოს ისე მორგებული რომ უზრუნველყოს რომ იგი საუკეთესოდ ერგება იმ პიროვნების ინტერესებს ვინც არის მასზე დაქვემდებარებული".[176]

[174] ფინეთის მეურვეობის მომსახურეობის აქტი 442/99, პარაგრაფი 18.
[175] რეკომენდაციის ღ(99)4 ახსნითი მემორანდუმი, პარაგრაფი 40.
[176] მჯო –ს რესურსების წიგნი გონებრივ ჯამრთელობაზე,ადამიანის უფლებებზე და კანონმდებლობაზე: შეწყვიტე გამორიცხვა, გაბედე რომ იზრუნო, 43 გ.

გერმანიაში, მაგალითად მეურვეობა შეიცვალა “მოვლის და დახმარების’ (ეტრეუუნგ) პროგრამებით, რომლებიც გულისხმობს რომ ინდივიდური დახმარება განხორციელებული უნდა იქნეს დამხმარეს მიერ (ეტრეუერ), რომლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია იმ დავალებებით რომლებიც სასამართლო გადაწყვეტს, რომ მოცემული პირი ვერ შეუასრულებს, დახმარების გარეშე. დამატებით, ინდივიდი ინარჩუნებს ყველა იურიდიულ უფლებას; სასამართლო ადგენს აუცულებელია თუ არა რომ მზრუნველმა იურიდიულად წარმოადგინოს ინდივიდი ან საჭიროა თუ არა მისი თანხმობა იურიდიულ მოქმედებებზე. ეს აღწერილი იქნა როგორც ორმაგი-კომპეტენციის რეჟიმი სადაც მზრუნველს და ინდივიდს ერთდროულად აქვთ კონმპეტენცია იურიდიულ საქმეებთან დაკავშირებით.[177]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 28 | მეურვეობა არის პერიოდულათ მიმოხილული და გრძელდება მანამდე სანამ სათანადოა. |

დასკვნა: არ არსებობს მეურვეობის პერიოდული მიმოხილვა.

ანალიზი: კანონი არ ადგენს რომ მეურვეობა უნდა იყოს მიმოხილული. თუ პიროვნება ფიქრობს, რომ მოწიფულმა უკვე დაიბრუნა ფუნქციონალური უნარიანობა, კანონი ავალდებულებს მეურვეს რომ შეიტანოს განაცხადება სასამართლოში იმის მოთხოვნით რომ დასრულდეს მეურვეობა და მოწიფულმა აღიდგინოს ქმედუნარიანობა.[178]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: ქმედუუნარობის კონვენცია ადგენს აპელაციის მოთხოვნებს 12(4) მუხლში, რომელიც იძახის რომ “მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნვლეყონ, რომ ყველა ზომები რომელიც დაკავშირებულია ქმედუნარიანობის განხორციელებისას, ადგენს სათანადო და ეფექტურ დამცავ მექანიზმებს რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტების მოთხოვნებს, რომ თავიდან აცილებული იქნეს ბოროტად გამოყენება. ასეთ დამცავ საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ რომ ზომები რომელიც დაკავშირებულია ქმედუნარიანოს განხორციელებასთან [...] არიან დაქვემდებარებული რეგულალურ მიმოხილვას კომპეტენტური,

[177] დორონ ი. “ასაკოვანი ადამიანების კალეიდოსკოპი- შედარებითი პერსპექტივა”, 16, საერთაშორისი სამართლის პოლიტიკის და ოჯახის გამომცემლობა. 368, 378-9. გერმანიის სამოქალაქო სამართლის სათანადო სექციებია 1902 ბგბ და 1897 ბგ. აგრეთვე აღსანიშნავია რომ მზრუნველმა უნდა მოიპოვოს სამართლო უფლებამოსილება იმ გადაცყვეტილებებზე რომელისაც აქვს მაღალი რისკის ფაქტორი და დიდ მნიშვნელობა.იხილე 1902 ბგბ,განხილული კ. ბლაკმანის (997) ‘მეურვეობის მოდელები ჰოლანდიაში და დასავლეთ ევროპაში,20(1) ინ ლანკმან, (1997) “უარდიანსჰიპ ოდელს ინ ტჰე ეტჰერლანდს ანდ ჭესტერნ უროპე”, 20(1) კანონის და პსიქიატრიის საერთაშორისო გამომცემლობს 47, 54 თან.

[178] 1292 მ.

დამოუკიდებელი და მიუკერძოვებელი ხელისუფლებას ან სასამართლო ორგანოს მიერ”.[179]

ო. ღ(99)4 რეკომენდაცია იღებს მიდგომას რომ ზომები ისეთი როგორიცაა მეურვეობა უნდა იყოს, თუ შესაძლებელია შეზღუდული ხანგძლივობის, სულ უნცირესად უნდა იყოს მიმოხილული პერიოდულად იმის დასადგენად თუ კვლავ ესაჭიროება მოწიფულს.[180] ეს სტანდარტი ასევე არსებობს ფსიქიური დაავადებების პრინციპებში. პრინციპი 1(6) მოითხოვს რომ “[გ]ადაწყვეტილებები რომელიც ეხება უნარიანობას და პირადი წარმომადგენლის აუცილებლობას უნდა იყოს მიმოხიხული საშინაო სამართლის მიერ გონებრივი ინტერვალებით და დადგენილი საშინაო კანონმდებლობით”.[181]

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 29 | მეურვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულს აწვს უფლება მოითხოვოს მეურვეობის მიმოხილვა, მოდიფიკაცია ან/და შეწყვეტა. |

დასვნა: მეურვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულს, უფლება აქვს მოითხოვოს ქმედუნარიანობის აღდგენა და მეურვეობის დასრულება.

ანალიზი: მიუხედავად იმისა რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს გარემოებების სიას რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მეურვეობის შეწყვეტა,[182] იგი არ შეიცავს დებულებეს, რომელიც უზრუნველყოფს მეურვეობის შეწყვეტას მოწიფულის მოთხოვნის საფუძველზე. მოწიფულებს შუეძლია გამოხატონ თავიანთი აზრი პოტენციალურ მეურვეზე.[183] მეურვე შეიძლება შეიცვალოს მოწიფულის თხოვნის საფუძველზე, რომელსაც იგი აბარებს მეურვეობის ორგანოს, რომელიც მოწიფულის თხოვნის საფუძველზე ვალდებულია დაითხოვოს მეურვე და დანიშნოს ახალი მეურვე.[184]

ადამიანის უფლებების სტანდარტები: სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლებები, სამოქალაქო უფლებების დადგენაში მოყვანილია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონ

179 კონვენცია ქმედუუნარო პირების უფლებებზე,მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 6 ეკემბერი 20066 დეკემბერი 2006, რეფ /61/611, 12(4) მ.
180 რეკომენდაცია ღ(99)4, პრინციპი 14.
181 გაეროს რეზოლუცია 46/119, პრინციპი 1, ფუნფამენტალური თავისუფლებები და ძირითადი უფლებები.
182 იგივე, 1302 მ.
183 სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1281(3) მ.
184 კანონი მეურვეობის შესახებ. 1301 მ.

ვენციის 6 მუხლში, და შეიცავს უნარიანობის საკითხებს.[185] ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა რომ მეურვეობა შეიძლება იწვევდეს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონვენციის 8 მუხლს რომელიც ეხება პირად უფლებებს, და განაცხადა რომ ქმედუნარიანოს ან მეურვეობის მიმოხილვა განსაკუთრებით გამართლებულია თუ ამას მოწიფული თვითონ მოითხოვს.[186] როგორც სხვა რამოდენიმე ინდიკატორებთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ მიმოხილვის უფლება იყოს დადგენილი კანონით. ასეთი დებულების არ არსებობისას მოწიფულს შეიძლება ხელი არ მიუწვდებოდეს სასამართლო განხილვაზე და შედეგად არ ქონდეს იურიდიული უფლება რომ მიიტანოს საქმე სასამართლოში.

mental disability advocacy center

185 ვინტერვერპ ვ ჰოლანდია, განცხადება ნო. 6301/73, 24 ოქტომბერი 1979 წლის გადაწყვეტულება, (მ/33) (1979-80) 2 ღღ 387.
186 მატერ ვ სლოვაკეთი, განცხადება ო. 54797/00, გადაწყვეტილება 8 ნოემბერი 2005.

# დანართი ა

## ტერმინების სიტყვარი

მოწიფული: მოწიფული არის პირი, რომელმაც მიაღცია მოწიფულობის ასაკს, რუსეთში მოწიფულობის ასაკი არის 18 წელი.

ქმედუნარიანობა: იურიდიული ტერმინი რომელიც მოიცავს მცნებას, იმისათვის რომ პიროვნებამ მიიღოს გადაწყვეტილებები და შეასრულოს მოქმედება რომელსაც აქვს აუცილებელი, იურიდიული შედეგი, მას უნდა ქონდეს აუცილებელი გონებრივი მდგომარეობა, უნარი რომ გაიგოს მოცემული გადაწყვეტილებები, გაიაზროს ალტერნატივები, შეაფასოს გადაწყვეტილების შედეგები და აცნობოს გადაცყვეტილება. თერმინები "უნარიანი" და "კომპეტენტური" ხშირად გამოიყენება ურთიერთშენაცვლებით.

ინტელექტუალური ქმდუუნარობა- ეს ფრაზა მიმართავს პიროვნებებს ვისაც აქვთ სხვადასხვა ტიპის და დონის ინტელექტუალური შეზღუდვები. ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება ტერმინი "სწავლის უუნარობა". მაგრამ, როგორც ფრაზასთან "ფსიქიკური ჯამრთელობის პრობლემა" (იხილეთ ქვემოთ), ინგლისურზე პირდაპირ გადათარგმნა სხვა ევროპულ და ცენტრალური აზიის ენებიდან შეიძლება იყოს ძველმოდური და დამამცირებელი (მაგალითად, ტერმინი როგორიცაა "გონებრივად ჩამორჩენილი" "იმბეცილი", "არანორმალური გაგების", "იდიოტი", "სუსტი გონების" და სხვები).

მეურვე: მეურვე არის პიროვნება რომელიც დაინიშნა სათანადო ორგანოს მიერ რომ იმოქმედოს იმ მოწიფულის მაგივრად, რომელსაც არა აქვს ქმედუნარიანობა რომ მართოს საკუთარი საქმეები. სათანადო ორგანო შეიძლება იყოს ან სასამართლო ან მეურვეობის სააგენტო, ეს დამოკიდებულია იურისდიქციაზე და შემთხვევის ტიპზე. მეურვე, შეიძლება იყოს ნათესავი, პროფესიონალი მეურვე ან სხვა ნებისმიერი პირი ვინც უფლებამოსილია ნაციონალური კანონმდებლობით რომ იმოქმედოს თავისი უნარით იმ პიროვნების მაგივრად ვინც ქმედუუნაროდ არის მიჩნეული.

მეურვეობა: იურიდიული ურთიერთობა, დადგენილი სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცესის მიერ, პიროვნების რომელიც მიიჩნევა რომ აკლია საჭირო ქმედების უნარი (ნაწილობრივ ან სრულიად) რომ მიიღოს პიროვნული გაწყვეტილებები და იმ პიროვნების შორის რომელიც დანიშნული იქნა რომ მიიღოს გადაწყვეტილებები მის მაგივრად. მეურვეობა არის ხანდახან მიმართული როგორც "შემ-

ცვლელი გადაწყვეტილებების-მიღება”. მეურვეობა არის “დამცავი საშუალების” ერთი ფორმა რომელსაც მიმართავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ო. ღ(99)4 რეკომენდაციაში.

გონებრივი უუნარობა: ეს ტერმინი გამოიყენება იმ პირებთან მიმართებაში, ვისაც დაუსვეს დიაგნოზი ან იარლიყი პსიქო-სოციალური უუნარობის (ფსიქიკური ჯამრთელობის პრობლემები) ან ინტელექტიალური უუნარობის მქონე.

პსიქიკური ჯამრთელობის პრობლემა: იხილე ფსიქო-სოციცალური უუნარობა.

ნაწილობრივი მეურვეობა (ან შეზღუდული მეურვეობა): ნაწილობრივი/შეზღუდული მეურვეობა არის დადგენილი როდესაც პიროვნება რომელსაც აქვს გარკვეული უნარი რომ მიიღოს გადაწყვეტილება ან შეასრულოს მოქმედება თავისით და მიიჩნევა რომ აქვს ნაწილობრივი უნარიანობა. თუ რა შეუძლია ან არ შეუძლია გააკეთოს პირმა თავისით, როდესაც იმყოფება ნაწილობრივ მეურვეობის ქვეშ არის ნაციონალური კანონმდებლობის ან სასამართლოს გადასაწყვეტი და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებში ან იმავე ქვეყანაშიც.

პლენარული მეურვეობა: მეურვეობის ტიპი რომელიც დგინდება როცა მიჩნეულია რომ პიროვნება სრულიად ქმედუუნაროა ან არა აქვს საკმარისი უნარი რომ თავისით შეასრულოს რამე მოქმედებები. პლენარული მეურვეობა ყველაზე ყოვლის მომცავი მეურვეობის ფორმაა.

ფსიქო-სოციალური უუნარობა: საერთოდ აღიარებული ფართო ტერმინი რომელიც ეხლა გამოყენებულია გლობალური საზოგადოების მიერ (მაგალითად, მსოფლიონ მომხმარებლების ქსელი, ყოფილი მომხმარებლი და ფსიქიატრისს ზედამხედველები იყენებდნენ ამ ტერმინს გაეროს ქმედუუნარო პირების უფლებების კონვენციის მოლაპარაკებების დროს). ტერმინი ნაგულისხმებია რომ მოიცავდეს პირებს რომლების იქნენ დიაგნოზირებული, იარლიყ მინიჭებული ან აღთქმული როგორც გონებრივი დაავადების მქონე, და შეიძლება მოიცავდეს პიროვნების აშლილობის მქონე პირებს. ფსიქო-სოციალური უუნარობის მქონე პირებს ხანდახან მიმართავენ როგორც გონებრივი სერვისის მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ “გონებრივი დაავადება” ან “გონებრივი აშლილობა”. თანამიმდევრულობის მიზნებისთვის ყველა ეს ტერმინი არის ნათარგმნი როგორც “ფსიქო-სოციალური უუნარობა”. ტერმინი რომელსაც მდაც-სი მხარს უჭერს არის ნაკლებად დაღის დამსმელი.

დამხმარე გადაწყვეტილებების-მიღება: ეს მეურვეობის ალტერნატივა არის აგებული ფაქტზე რომ სათანადო მხარდაჭერით, პირს რომელიც სხვაგვარად მიჩნეული იქნებოდა როგორც ქმედუუნარო, ფაქტობრივად შეუძლია მიიღოს პიროვნული გადაწყვეტილებები.

მზრუნველი: მიუხედავად იმისა რომ მისი სპეციფიური მნიშვნელობა იქნება განსაზღვრული კანონით, მზრუნველი არის პირი რომელიც ინარჩუნებს ფიდუციარულ ურთიერთობებს სხვა პირთან.ზოგიერთ იურისდიქციაში ტერმინი “მზრუნველი” არის გამოყენებული ურთიერთშენაცვლებით მეურვესთან, მაგრამ სხვა იურისდიქციებში (მაგალითად ბულგარეთის ჩათვლით) არის გამოყენებული მხოლოდ გარკვეულ ურთიერთობებთან მიმართებაში, როგორიც არის ნაწილობრილი უუნარობის საქმეები.

სამეურვეო პირი: ტერმინი ფართოდ გამოყენებული ინგლისურენოვან სახელმწიფოებში ისეთ პირთან მიმართებაში რომელიც მეურვეობის ქვეშ იმყოფება. მდაც-ს ურჩევია არ გამოიყენოს ეს ტერმინი, რადგანაც იგი ამცირებს ინდივიდს. ის ასევე გამოყენებულია ინგლისურში როგორც საავადმყოფოს გამყოფილების ამღნიშვნელი. მდაც-ი მის მაგივრად მარტივად ხმარობს “მოწიფულს” ან “ურთიერთობის მქონე პირს”.

# დანართი ბ

## ინდიკატორების შემაჯამებელი ცხრილი

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 1 | კანონმდებლობის მიზანი ან პრეამბულა შეიცავს პატივისცემას ადამიანის უფლებების, ღირსების და გონებრივად უუნარო პირთა ფუნდამენტალური თავისუფლებების მიმართ. |
| ინდიკატორი 2 | კანონმდებლობა ნათლად ადგენს იმ პირებს ვისაც უფლება აქვს შეიტანოს განცხადება მეურვის დანიშვნის თაობაზე და საჭირო საფუძვლები რომ მხარი დაუჭიროს მას გგანგგანცხადებას. |
| ინდიკატორი 3 | მოწიფულს უფლება აქვს მიიღოს შეტყობინება, დაესწროს და იქნეს მოსმენილი ყველა პროცედურების დროს რომელიც ეხება მის ქმედუუნაროდ აღიარებას და მეურვის დანიშვნას. |
| ინდიკატორი 4 | მოწიფულს აქვს უფლება ქონდეს უფასო და ეფექტური იურიდიული წარმომადგენლობა მეურვეობის პროცედურების დროს. |
| ინდიკატორი 5 | მოწიფული არ უნდა იქნეს დაკავებული, მისი ქმედუნარიანოს შესაფასებლად. |
| ინდიკატორი 6 | მოწიფულს აქვს უფლება და შესაძლებლობა რომ წარადგინოს მტკიცებულებები (მოწმეების ჩათვლით) და გამოიწვიოს საწინააღმდეგო მტკიცებულებები (მოწმეები). |
| ინდიკატორი 7 | არც ერთი მოწიფული არ შეიძლება იქნეს აღიარებული ქმედუუნაროდ, უნარიანობის შეფასების გარეშე, რომელიც უნდა იყოს ჩატარებული კვალიფიცირებული პროფესიონალის მიერ და ეფუძნებოდეს აქტუალურ და ობიექტურ ინფორმაციას, პიროვნულად ჩატარებული შეფასების ჩათვლით. |
| ინდიკატორი 8 | ქმედუუნაროდ ცნობა მოითხოვს აშკარა კავშირს ხაზგასმული დიაგნოსის და ეჭვს შორის რომ მიროვნებას არა აქვს უნარი მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. |

| | |
|---|---|
| ინდიკატორი 9 | ქმედუუნაროდ ცნობა დაფუძნებულია საკმარის მტკიცებულებებზე და ემსახურება მოწიფულის ინტერესებს. |
| ინდიკატორი 10 | მეურვის შერჩევა უნდა ემყარებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს და აღნიშნული მოწიფულის სურვილებს და გრძნობებს. |
| ინდიკატორი 11 | მეურვეს არ უნდა ქონდეს ინტერესთა კონფლიქტი ან კონფლიქტის შესახედაობა მოწიფულთან. |
| ინდიკატორი 12 | მოწიფულს აქვს უფლება გაასაჩივროს ქმედუუნაროდ აღიარება და მეურვის დანიშვნა. |
| ინდიკატორი 13 | მეურვეობის ქვეშ მოთავსების შედეგად მოწიფული არ უნდა იყოს ავტომატიურად მოკლებული შესაძლებლობას განახორციელოს პოლიტიკური უფლებები. |
| ინდიკატორი 14 | მეურვეობის ქვეშ მოთავსების გამო მოწიფული ავტომატიურად არ უნდა იყოს მოკლებული შესაძლებლობას განახორციელოს შრომის უფლება. |
| ინდიკატორი 15 | მოწიფული რომელიც მოთავსებული იქნა მეურვეობის ქვეშ, აუტომატიურად არ არის მოკლებული განახორციელოს საკუთრების უფლება. |
| ინდიკატორი 16 | მოწიფული რომელიც მოთავსებული იქნა მეურვეობის ქვეშ, აუტომატიურად არ კარგავს შესაძლებლობას რომ ქონდეს ქონწინების, ოჯახის დაფუძნების და ოჯახური ცხოვების პატივისცემის უფლებას. |
| ინდიკატორი 17 | მეურვეობის ქვეშ მოთავების შემდეგ მოწიფული ავტომატიურად არ არის მოკლებული გაერთიანების უფლების შესრულებას. |
| ინდიკატორი 18 | მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი არ არის შეზღუდული მიიღოს გადაწყვეტილებები იმ დარგში სადაც მას შენარჩუნებული აქვს ფუნქციონალური უნარი. |
| ინდიკატორი 19 | მეურვეობის ქვეშ მყოფი მოწიფული უნდა კონსულტირებული იყოს ძირითად გადაწყვეტილებებზე და მისი სურვილები უნდა იყოს მიდევნილი როცა ეს შესაძლებელია. |

| | |
|---|---|
| იდნიკატორი 20 | მეურვეების უფლებამოსილებების და მოვალეობების საზღვარი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული კანონით და შეზღუდული მხოლოდ იმ სფეროებზე სადაც მეურვეობის ქმეშ მყოფ მოწიფულს დახმარება ესაჭიროება. |
| ინდიკატორი 21 | მეურვე ვალდებულია ხელი შეუწყოს ინტერესებს, კეთილდღეობას და დამოუკიდებლობას იმ მოწიფულის რომელიც მისი მეურვეობის ქვეშ იმყოფება იმის მეშვეობით რომ მოძებნის ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივებს ცხოვრების მოწესრიგებაში და მისცემს მოწიფულს მცდელობის საშუალებას რომ იცხოვროს საზოგადოებაშე. |
| ინდიკატორი 22 | მეურვემ ისე უნდა განკარგოს მოწიფულის ქონება როგორც მეორვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულისთვის ყველაზე მომგებიანი იქნება. |
| ინდიკატორი 23 | მეურვე ვალდებულია პერიოდულად. მოინახულოს და ისაუბროს_მოწიფულთან. |
| ინდიკატორი 24 | მეურვეს გადაცყვეტილებები პერიოდულათ განხილული უნდა იქნეს ობიექტური ორგანოს მიერ და მეურვე უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა გადაჭყვეტილებაზე. |
| ინდიკატორი 25 | გასაჩივრების პროცედურის არსებობა რომელიც შეეხება მეურვის ქმედებებს და დაუდევრობებს. |
| ინდიკატორი 26 | ხელმისაწვდომია მეურვეობაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივები და ცხადათ ამოწურული სანამ პირი მოთავსებულია მეურვეობის ქვეშ. |
| ინდიკატორი 27 | მეურვეობები არის მორგებული დაინტერესებული პირის ინდივიდუალ მოთხოვნებზე და მომართავს უნარიანობის ცვალებად დონეს. |
| ინდიკატორი 28 | მეურვეობა არის პერიოდულათ მიმოხილული და გრძელდება მანამდე სანამ სათანადოა. |
| ინდიკატორი 29 | მეურვეობის ქვეშ მყოფ მოწიფულს აწვს უფლება მოითხოვოს მეურვეობის მიმოხილვა, მოდიფიკაცია ან/და შეწყვეტა. |

www.mdac.info

